Много сделано в деле дальнейшего развития механизации и автоматизации учетно вычислительных работ. Так, например, более половины централизованных бухгалтерий бюджетных учреждений, учет которых подлежит механизации, пользуются услугами вычислительных установок системы ЦСУ СССР.

В деле дальнейшего улучшения организации работы по учету и отчетности важное значение имеет Постановление Совета Министров СССР от 24 января 1980 года № 59 «О мерах по совершенствованию организации бухгалтерского учета и повышения его роли в рациональном и экономическом использовании материальных, трудовых и финансовых ресурсов».

Отмечая важное значение дальнейшего совершенствования бухгалтерского учета в повышении эффективности управления экономикой страны и в обеспечении рационального экономического использования материальных, финансовых и трудовых ресурсов, Совет Министров СССР обязал министерства и ведомства СССР и советы министров союзных республик осуществить в кратчайшие сроки ряд действенных мер, направленных на дальнейшее улучшение состояния:

⁴ Материалы XXV съезда КПСС. М., 1976, с. 45.

бухгалтерского учета в подведомственных объединениях, предприятиях, учреждениях и организациях, повышение роли учета в осуществлении контроля за их финансово-хозяйственной деятельностью, экономное использование материальных, трудовых и финансовых ресурсов, а также сбора необходимой информации о ходе выполнения планов, установление причин отклонений от плановых заданий, упорядочение первичной учетной документации, дальнейшее повышение уровня механизации и автоматизации учетно-вычислительных работ.

Совет Министров СССР этим постановлением утвердил новое положение о главных бухгалтерах, которое четко определяет роль, обязанности, права и ответственность главных бухгалтеров объединений, предприятий, учреждений и централизованных бухгалтерий.

Наиболее важной особенностью современного этапа развития нашей страны является научно-техническая революция, открывающая невиданные возможности для полного обеспечения материальными благами всех членов социалистического общества, умножения творческих способностей человека, повышение духовной его культуры. Она носит комплексный характер, охватывающий широкий фронт преобразований во всех основных областях науки и техники.

Новый этап в развитии автоматизации наступил в результате появления электронных вычислительных машин, которые совместно с различными автоматическими устройствами позволяют в значительной степени механизировать труд ученых, инженерно-технических работников и служащих предприятий, организаций и учреждений, занятых руководством технологическими процессами, организацией труда и производства.

Эти машины широко применяются для создания автоматизированных систем управления (АСУ) в различных областях производственной проектно-конструкторской и научно-исследовательской работы.

Широкое применение различных средств вычислительной техники (от простейших приборов до перфорационных и электронных вычислительных машин) позволяет совершенствовать экономическую работу, значительно повысить производительность труда работников, занятых учетом, планированием, экономическими и инженерно-техническими расчетами, сократить и уменьшить способность содержания административно-управленческого аппарата и высвободить сотни тысяч людей для использования их в сфере материального производства. Это тем более необходимо, что число лиц, занятых вычислением учетной, плановой, экономической и контрольно-ревизионной работой, все еще значительно превышает общее число работников, занятых в некоторых ведущих отраслях народного хозяйства.

Современные мини-ЭВМ, ориентированные на решение экономических задач, как правило, освещаются емкими внешними запоминающими устройствами прямого доступа — малогабаритными накопителями на сменных магнитных дисках. Характерной особенностью этого типа мини-ЭВМ является наличие производительного печатающего устройства с развитым бумагонакопителем, обеспечивающим работу с различными формами документов (карточки, набор бланков, многослойные перфорированные формуляры, рулонная журнальная

лента и т.п.). Новейшие модели этого типа мини-ЭВМ оснащены встроенной аппаратурой для передачи данных по каналам связи (производственным, телеграфным, телефонным), для обмена данными с однотипными машинами или машинами других типов, а также дисплеем — устройством отображения информации для облегчения информационного обслуживания и удобства работы в диалоговом режиме.

Появление проблемно-ориентированных мини-ЭВМ создало возможность нового направления в использовании этой техники в части автоматизации бухгалтерского учета. Применение клавишных, перфорированных и электронных машин не привело к коренному изменению труда бухгалтеров, за ними остались функции выполнения отдельных расчетов, кодирования информации, выдачи справок и др.; более того, количество бухгалтеров и других учетных работников не уменьшилось, хотя удалось минимизировать составы бухгалтерий, приостановить рост численности учетного персонала.

Эксплуатационные особенности клавишных электромеханических вычислительных машин приводят к определенным изменениям технологии обработки информации и ее носителей.

Ручная регистрация заменяется машиной и совмещается с операциями подсчета и группировки, а иногда с вычислительной обработкой. Использование КВМ обуславливает изменение внешней формы регистров (перестановка граф, совмещение двух и более регистров на одном бланке, применение свободных листов вместо книг и т. д.) позволяет применять метод копиручета, предусматривают получение за один прием нескольких документов и совмещение операций (группировки и подсчеты, таксировка и накопление и т. п.). Однако доля ручного труда остается значительной.

Применение ПВМ (перфорационные вычислительные машины) дает возможность более качественно механизировать трудоемкие участки учета, а также охватить механизацией все разделы и синтетические счета. В результате этого удалось создать машинную форму учета — таблично-перфокарточную и механизированным путем получить всю совокупность аналитических и синтетических регистров.

Однако в технологическом процессе обработки учетной информации на базе ПВМ удельный вес ручных операций довольно высок (подготовка, выпуск, закрытие счетов и т. п.), а ряд регистров не поддается механизации.

Появление первых ЭВМ и перевод обработки учетной информации на эту технику показал бесспорное преимущество технологических процессов электронной обработки учетной информации. Но в организационном плане изменений не намечалось. ЭВМ являются стационарными машинами, эксплуатация которых возможна только в специальных подразделениях и специальных помещениях. Поэтому в настоящее время осуществляется техническое переоснащение вычислительных предприятий указанными средствами вычислительной техники.

Дальнейшее развитие ЭВМ и возможность работы их в режиме телеобработки с территориально-удаленными средствами сбора и регистрации данных качественно улучшают технологические процессы сбора и обработки учетной информации, повышают оперативность учета, приближают технические средства — периферийные устройства — к объектам возникновения и потребления учетной информации. Следовательно, использование ЭВМ и комплекса технических средств сбора и регистрации информации приводит к возможности автоматизации расчетов по всем разделам и счетам бухгалтерского учета, к появлению новой таблично-автоматизированной формы учета.

В период использования ПЭВМ были попытки создания механизированных бухгалтерий, которые не получили распространения из-за необходимости использовать для решения учетных задач монофункциональные громоздкие машины, сложности их настройки, недостаточной надежности, многоступенчатости технологического процесса обработки учетной информации и т.п. Но полезность проведенного эксперимента заключалась в том, что техника работы бухгалтера менялась, процесс труда в бухгалтерии становился механизированным.

В последующие годы в связи с широким внедрением в практику механизации учета бухгалтерских машин «Аскета-170» эти попытки активизировались. Однако ограниченные возможности названных машин не позволили получить удовлетворительных результатов. Идея требовалось реализовать на новой принципиальной основе, для чего необходима была другая техническая база. Широкое внедрение в практику механизации учета ЭВМ позволяет вернуться к этой проблеме.

На современном этапе можно говорить о двух принципиальных подходах к автоматизации обработки учетной информации при использовании ЭВМ. Первый подход — применение мощных универсальных ЭВМ третьего и дальнейших поколений, как правило, территориально удаленных от бухгалтерий. Здесь изменение техники учета труда бухгалтера возможно за счет использования диалогового режима «ЭВМ — бухгалтер». При этом в памяти машины хранятся все необходимые справочные текущие и архивные данные, бухгалтер, помимо получения традиционных сводок с ЭВМ (оборотных ведомостей, расчетно-платежной документации и др.), может вести диалог с ЭВМ.

Для этой цели рабочее место бухгалтера оснащается дисплеем, имеющим связь с ЭВМ. По каждой задаче проектируется необходимое количество вопросов и бухгалтер может всегда получить необходимый ответ. Например, для расчетного отдела такими запросами могут быть расчет отпуска, определение средней з/платы, справка по расчету государственных налогов и др.; проектирование такой системы требует значительных затрат в части как приобретения периферийной техники, так и разработки математического и программно-го обеспечения.

Подобный режим работы требует значительного расширения вычислительных ресурсов ЭВМ, в частности, ее оснащения дорого-

стоящими емкими запоминающими устройствами прямого доступа, а также системой линий связи и канальной аппаратурой. Самое сложное в этом подходе — необходимость больших затрат на строительство зданий для ЭВМ и на их последующую эксплуатацию.

Следует также отметить, что в режиме работы «запрос — ответ» эксплуатационная производительность ЭВМ резко снижается. По оценкам специалистов до 70% производительности процесса затрачивается на внутренние операции по обслуживанию и коммутации сообщений, выполнению команд операционной системы и т. п.

Второй подход предполагает использование проблемноориентированных мини-ЭВМ, получивших в нашей стране название электронных бухгалтерских машин (ЭБМ). ЭБМ являются многофункциональными программируемыми средствами вычислительной техники, ориентированными на механизированное и автоматизированное выполнение работ по бухгалтерскому учету.

В нашей стране выпускается ЭБМ «Искра-554» и «Искра-126» для решения некоторых учетных задач. ЭБМ «Искра-554», как и другие машины подобного типа, является цифровой мини-ЭВМ третьего поколения с микропрограммным управлением. Комплекс «Искра-554» построен по агрегатно-модульному принципу с возможностью переменной комплектации.

ЭБМ «Искра-554» позволяет решать учетные и другие задачи по обработке данных в режиме непосредственного ввода исходных данных, совмещения различных этапов технологического процесса, построенных на базе использования ПЧМ и КЧМ. ЭБМ дает возможность накапливать данные в процессе их обработки на машинносчетных носителях, а также в документированной форме в учетных регистрах типа карточек или свободных листов. В условиях механизации учета использование учетных регистров-карточек позволяет сокращать объемы информации, выводимой на печать, сохранить информативность учетных регистров, получаемых при их ручном заполнении (журналы-ордера, накопительные и лицевые карточки, разработанные таблицы) и т. п. Особенности ПЧМ и ЭВМ и их печатающих устройств не дают возможности получить учетные регистры такой формы. ЭБМ же оснащены, как правило, широкоформатными печатающими устройствами, позволяющими обрабатывать бланкикартотеки.

Отличительной особенностью ЭБМ «Искра-554» является встроенная аппаратная система внутреннего программного управления и специальный символьный входной язык программирования, не требующий для описания программы специальных бланков с фиксированным расположением текстовых фраз и соответственно специальных автономных устройств для записи программы на машинный носитель.

Входной язык программирования этой ЭБМ несложен для изучения и удобен для описания процедур выписки и формирования первичных и вторичных документов в виде печатных таблиц.

ЭБМ позволяет механизировать трудоемкие операции первичного учета и может применяться во всех экономических службах бухгалтерии, отделах сбыта, финансовом, материально-технического снабжения, на складах, в производственных цехах и др. При этом в



каждом из указанных отделов можно механизировать и автоматизировать вычислительные работы, которые в условиях централизованной обработки механизировать практически невозможно или экономически невыгодно.

К настоящему времени созданы определенные предпосылки для успешной эксплуатации ЭБМ непосредственно на рабочих местах бухгалтерского персонала. Министерствами и ведомствами завершаются централизация бухгалтерского учета, создана по отраслевому принципу сеть централизованных бухгалтерий для однородных небольших предприятий. Разработаны отраслевые методические материалы, регламентирующие организацию бухгалтерского учета.

Общие принципы механизации и автоматизации бухгалтерского учета на основе ЭБМ «Искра-554» состоят в следующем.

Прежде всего, в том, что бухгалтерский учет можно механизировать на основе журнально-ордерной формы счетоводства. Это подтверждается тем, что сейчас выработаны методические основы механизации бухгалтерского учета с применением машин «Аскета» (класс 170/45) и имеется большой практический опыт использования таких машин в разных отраслях народного хозяйства. Отсюда применение ЭБМ с качественно лучшими функциональными характеристиками, чем у электромеханических машин, обеспечивает возможность выполнения таких работ по значительно более совершенной технологии и с меньшими затратами.

Нетрудно заметить, что основные принципы журнально-ордерной формы учета удачно согласуются с возможностями ЭБМ. Действительно, равномерное накопление данных первичных документов, использование накопительных месячных регистров (журналов-ордеров, карточек ведомостей и др.), шахматный принцип подсчета итоговых показателей — все это создает благоприятные возможности применения ЭБМ.

Следовательно, указанные обстоятельства позволяют говорить о дальнейшем совершенствовании данной формы учета.

С помощью ЭБМ можно механизировать трудоемкие работы по выписке документов (финансово-расчетные, операции учета труда и зарплаты, учет материалов, учет затрат на производство). Их можно использовать для механизации учета движения готовой продукции и материальных ценностей на складе. Этап выписки документов сопровождается арифметической и логической обработкой, а при необходимости — накоплением и группировкой данных с отображением в соответствующих учетных регистрах.

Организация бухгалтерского учета при применении ЭБМ и принципов журнально-ордерной формы счетоводства строится следующим образом. На основании массовых периодически повторяющихся документов (по учету движения материалов, готовой продукции, расчетам с рабочими и служащими) ведутся разработки аналитических и синтетических регистров и накопление информации для ведения сводного, аналитического и синтетического учета. Остальные документы обрабатываются по унифицированной схеме: регистры аналитического учета (преимущественно карточки) — накопление сводной

информации на внешних носителях — журналы-ордера или накопительные ведомости.

ВГПТИ ЦСУ СССР разработал подробные рекомендации по учету труда и заработной платы, движения материалов, а также по организации технического процесса автоматизированной выписки отгрузочной и финансово-расчетной документации, подтверждающие большую эффективность использования ЭБМ. Так, рекомендуемая технология решения задачи по учету труда и зарплаты предусматривает использование типовых первичных документов по учету труда и заработной платы и типовой номенклатуры видов оплат и удержаний.

Технология обработки информации по учету движения материальных ценностей строится применительно к оперативно-бухгалтерскому (сальдовому) методу с учетом технико-эксплуатационных возможностей ЭБМ. Технологическим процессом предусматривается оперативное отражение операций по движению материальных ценностей как в машинной, так и в складской картотеке. Благодаря этому, имеются возможности для составления оперативных сводок о состоянии материальных ресурсов с учетом минимальных и максимальных норм запаса.

Краткое описание технологии обработки информации по этим трудоемким участкам показывает, что ЭБМ можно успешно использовать для решения всех задач бухгалтерского учета. При этом практически меняется техника работы бухгалтера, ибо он ведет с машинной диалог, непосредственно участвует в технологическом процессе обработки информации.

В разрабатываемых новых моделях отечественных ЭБМ предусмотрено устройство отображения информации, что, безусловно, создает большие удобства для диалогового режима работы.

Учитывая, что эксплуатационные возможности и количество выпускаемых ЭБМ будет возрастать, необходимо принять меры к разработке рекомендаций (или типовых проектных решений) по применению таких машин для решения всех задач бухгалтерского учета в условиях применения журнально-ордерной формы счетоводства.

Представлена группой проблем учета и финансов
Института экономики и права АН СССР

ნაირა ბაჩილავა

ზოგადოებაში მოქმედი ზოგიერთი დემოგრაფიული ფაქტორი საქართველოს სსრ-ში

სკკ XXV ყრილობის მასალებში აღნიშნულია, რომ 80-იან წლებში სამჯერ მეტად შემცირდება შრომითი რესურსების ბუნებრივი მატება. ეს შემცირება უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ შრომისუნარიან ასაკში შედის 60-იან წლებში დაბადებული ახალგაზრდობა, ხოლო სწორედ ამ პერიოდიდან ჩვენს ქვეყანაში შესამჩნევად მცირდება შობადობა. თუმცა ეს არ არის ერთადერთი ფაქტორი, მაგრამ იგი ამჟამად მეტად მნიშვნელოვანია. როგორც ვიცით, შრომითი რესურსები წარმოების საშუალებებთან ერთად შეადგენს მატერიალური დოვლათის შექმნის საფუძველს, ამასთან, მოსახლეობა გამოდის მატერიალური დოვლათის როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელი. ამდენად, საზოგადოების განვითარების დონე დამოკიდებულია იმაზე თუ რა რაოდენობით და ხარისხობრივი მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი ქვეყნის შრომითი რესურსები.

სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმი, სადაც მოხსენებით: „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები საქართველოს სსრ შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივების მიხედვით კადრების მომზადების, განაწილებისა და აღზრდის გაუმჯობესების საქმეში“, გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოში შობადობის დონე მცირდება, ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხს, რამდენადაც მისი დღევანდელი დონე პერსპექტივაში შრომითი რესურსების ნაკლებობაში გამოვლინდება.

„შობადობის საკითხი, — აღნიშნავს მომხსენებელი, — დიდი სოციალური მნიშვნელობის საკითხია და ამ შემთხვევაში უდავლოა ჩაურევლობის პოლიტიკა. უნდა ვინელმძღვანელოთ იმით, რომ რესპუბლიკის ეკონომიკის განმტკიცების კვალობაზე ჩვენ გვექნება სულ უფრო მეტი რეალური შესაძლებლობა დავეხმაროთ ახალგაზრდა ოჯახებს, შევუქმნათ მათ უკეთესი საბინაო და სხვა პირობები“...

...„მოვალენი ვართ ყოველნაირი სტიმული მიეცეთ ჩვენს რესპუბლიკაში შობადობის ზრდასა და ავიყვანოთ იგი ოპტიმალურ დონემდე“¹.

შობადობის შემცირების ამჟამად არსებულმა ტენდენციამ დააყენა საკითხი გამოკვლეულ იქნეს მასზე მოქმედი დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, ეთნიკური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორები, რომელთა

¹ სკკ. სსრ ცკ VII პლენუმის მასალები, გვ. „კომუნისტი“, 1979 წ. 31.X.

შესწავლა საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ თუ რამ გამოიწვია შობადობის შემცირება და რამდენად კანონზომიერი პროცესია იგი პერსპექტივის თვალსაზრისითაც, გავრძელება თუ არა შობადობის დონის შემცირება ჩვენს რესპუბლიკაში და თუ გავრძელება რა საზღვრამდე შეიძლება გავრძელდეს ეს პროცესი; არის თუ არა საჭირო შობადობის სტიმულირება და რა სახის უნდა იყოს იგი.

როგორც ცნობილია, შობადობის დონე საბჭოთა კავშირის რაიონების მიხედვით ფრიად განსხვავებულია. ამ მხრივ ნათლად გამოხატული კონტრასტებით ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან შეიძლება გამოიყოს ორი ჯგუფი:

1. რესპუბლიკები, სადაც შობადობის დონე 20%-ზე დაბალია — ბალტიისპირეთი, ბელორუსია, უკრაინა, საქართველო, მოლდავეთი და რსფსრ.

2. რესპუბლიკები, სადაც შობადობის დონე 30%-ზე მაღალია — შუა აზია და აზერბაიჯანი.

ამავე დროს, შობადობის დონე ამა თუ იმ რესპუბლიკაში განსხვავებულია ეთნიკური ჯგუფების მიხედვითაც.

ცხრილი 1

საქართველოს სსრ მოსახლეობის ზრდის ტემპები (%-ობით)

წლები	მთელი მოსახლეობა		ქალაქის		სოფლის	
	მატება 1897 წელთან	მატება ნაჩვენებ წინა წელთან	მატება 1897 წელთან	მატება ნაჩვენებ წინა წელთან	მატება 1897 წელთან	მატება ნაჩვენებ წინა წელთან
1917	23,4	23,4	17,8	17,8	24,8	24,8
1922	27,7	3,4	36,2	15,6	25,7	0,7
1926 აღწ.	41,3	10,7	65,5	21,5	35,7	8,0
1937	74,1	23,2	147,9	49,8	56,8	15,6
1939 აღწ.	86,9	7,4	196,9	19,8	61,2	2,8
1950	84,5	-1,3	245,4	16,3	46,8	-8,9
1955	100,8	8,8	320,6*	21,8	49,4	1,8
1957	107,2	3,2	344,3	5,6	51,7	1,5
1959	113,5	3,1	376,9	7,3	51,9	0,1
1960	118,0	2,1	385,8	1,9	55,4	2,3
1965	134,9	7,8	464,3	16,2	57,8	1,6
1970 აღწ.	147,4	5,3	523,9	10,6	59,3	0,9
1971	142,9	1,0	534,5	1,7	60,0	0,4
1972	152,8	1,1	546,8	1,9	60,7	0,4
1973	155,3	1,0	556,5	1,5	61,4	0,4
1974	157,5	0,9	567,9	1,7	61,6	0,1
1975	158,4	0,3	578,0	1,5	60,3	-0,8
1976	159,8	0,5	593,9	2,3	58,2	-1,4
1977	161,9	0,8	602,6	1,3	58,8	0,3
1928	163,2	0,5	610,6	1,1	58,6	-0,2
1979 აღწ.	164,8	0,6	624,5	2,0	57,3	-0,8

როგორია საქართველოს მოსახლეობის დინამიკა 1897 წლიდან 1979 წლის აღწერამდე? (იხ. ცხრ. 1). ამ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა გაიზარდა 1894 ათასიდან 5016 ათასამდე, ე. ი. 2,6-ჯერ. ერთის შეხედვით მოსახლეობის მატება სრულიად ნორმალურია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, თუ ამ პერიოდს დავეყოფთ დროის თანაბარ 20 წლიან ეტაპებად დავეინახავთ, რომ მოსახლეობის ზრდა ამ ეტაპებში განსხვავებულია. მაგალითად, 1917 წელს 1897 წელთან შედარებით მოსახლეობის მატებამ შეადგინა 23,4%, ხოლო 1917—1937 წწ-ში იგი უღრძია

4. „მაინე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1982, № 3



41,0%, 1937—1957 წლებში — 19,0% და 1957—1977 წლებში კი 26,4%. პირველსა და მესამე ეტაპზე მოსახლეობის შედარებით მცირე მატება აიხსნება პირველ და მეორე მსოფლიო ომების მიზეზით, ხოლო მეოთხე ეტაპზე იგი სწორედ შობადობის შემცირებით არის გამოწვეული.

აქ განხილულია მოსახლეობის საერთო მატება როგორც მექანიკური ისე ბუნებრივი მატების შედეგად. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დინამიკას გვიჩვენებს ცხრილი 2. აქ მოკემულია რესპუბლიკაში მოსახლეობის შობადობის, მოკვდაობის და ბუნებრივი მატების მაჩვენებლები. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა მონაცემი მცირდება, თუმცა შობადობა 1960 წლიდან უფრო მაღალი ტემპით შემცირდა ვიდრე მოკვდაობა და ამიტომ ბუნებრივი მატებაც ამ პერიოდთან მკვეთრად იწყებს დაცემას.

ცხრილი 2

შობადობა, მოკვდაობა და ბავშვთა მოკვდაობა საქ. სსრ-ში*

წლები	ყოველ 1000 კაცზე									1 წ-მდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობა ყოველ 1000 დაბადებულზე		
	შობადობა			მოკვდაობა			ბუნებრივი მატება					
	სულ	ქალკე	სოფელი	სულ	ქალკე	სოფელი	სულ	ქალკე	სოფელი	სულ	ქალკე	სოფელი
1921	37,9	—	—	20,0	—	—	17,9	—	—	—	—	—
1940	27,4	25,2	28,4	8,8	13,1	6,9	18,6	12,1	21,5	66,6	135,2	39,5
1950	23,5	20,0	25,4	7,6	8,4	7,1	15,9	11,6	18,3	51,7	86,8	35,9
1955	24,1	21,3	25,9	6,7	6,8	6,7	17,4	14,5	19,2	50,7	62,4	44,3
1959	24,2	21,3	26,4	7,0	6,8	7,1	17,2	14,5	19,3	38,3	41,6	36,4
1960	24,7	22,2	26,6	6,5	6,5	6,5	18,2	15,7	20,1	36,8	38,2	35,9
1961	24,7	22,5	26,5	6,5	6,2	6,8	18,2	16,3	19,7	33,7	34,9	32,9
1962	23,7	21,3	25,7	7,1	6,6	7,4	16,6	14,7	18,3	36,7	34,9	37,8
1963	23,0	20,6	25,0	6,8	6,4	7,1	16,2	14,2	17,9	34,5	32,8	35,7
1964	22,0	20,1	23,7	6,7	6,4	7,0	15,3	13,7	16,7	31,6	29,6	33,0
1965	21,2	18,8	23,3	7,0	6,6	7,3	14,2	12,2	16,0	33,9	34,3	33,7
1966	20,3	17,8	22,6	6,7	6,3	7,1	13,6	11,5	15,5	31,9	29,1	33,9
1967	19,5	17,5	21,4	7,2	6,6	7,8	12,3	10,9	13,6	28,9	28,2	29,4
1968	19,4	17,7	21,0	7,0	6,6	7,4	12,4	11,1	13,6	28,7	27,2	29,9
1969	18,7	17,5	19,8	7,5	7,0	8,1	11,2	10,5	11,7	28,1	26,3	29,6
1970	19,2	18,9	19,3	7,3	7,1	7,4	11,9	11,8	11,9	25,3	23,3	27,1
1971	19,0	18,3	19,7	7,4	7,0	7,8	11,6	11,3	11,9	24,5	22,5	26,4
1972	18,0	17,3	18,6	7,6	7,0	8,1	10,4	10,3	10,5	25,0	23,7	26,2
1973	18,2	17,7	18,7	7,4	7,0	7,8	10,8	10,7	10,9	29,7	28,7	30,5
1974	18,3	18,0	18,6	7,6	7,2	8,0	10,7	10,8	10,6	30,0	28,1	32,1
1975	18,2	18,1	18,2	8,0	7,4	8,5	10,2	10,7	9,7	33,1	29,0	36,4
1976	18,3	18,0	18,4	7,9	7,3	8,4	10,4	10,7	10,0	29,2	27,4	32,5
1977	17,8	17,7	17,9	8,0	7,5	8,6	9,8	10,2	9,3	30,0	27,3	33,1
1978	17,7	17,4	17,9	8,0	7,4	8,6	9,7	10,0	9,3	26,5	24,8	28,3
1979	17,9	17,7	18,1	8,3	7,7	9,0	9,5	10,4	9,0	29,0	27,0	30,9

ცხრ. 2. გვიჩვენებს, რომ მოკვდაობა 1960 წლიდან შეფარდებით მცირედ მაგრამ მაინც იზრდება. რამ გამოიწვია ეს ზრდა? უნდა ვიფიქროთ, რომ იგი გამოწვეულია სწორედ შობადობის შემცირებით, ვინაიდან შობადობის შეფარდებითი შემცირება იწვევს მოსახლეობის დაბერებას. ეს პროცესი კი მოკვდაობის გადიდების პირდაპირპროპორციულია. 1939 წლის აღწერით საქართველოში 70 წ. და მეტი ასაკის მოსახლეობამ შეადგინა მთელი მოსახლეობის 3,9%, 1959 წელს — 5,1%, 1970 წელს — 5,0%, 1975 წელს — 5,3%, და 1978 წელს — 5,8%. 1939 წელს აღნიშნული ასაკის მოსახლეობის შედა-

* ცხრილები შედგენილია საქ. სსრ ცსს მასალების საფუძველზე.

რებით მცირე რაოდენობა გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში მოკვდაობა შედარებით მაღალი და სიცოცხლის საშუალო ასაკი შედარებით დაბალი დონით ხასიათდებოდა. შემდგომ პერიოდში სიცოცხლის საშუალო ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება 70 წ. და მეტი ასაკის მოსახლეობის ხვედრიწილი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შობადობის დაბალი კოეფიციენტის პირობებში, რაც მეტია აღნიშნული ასაკის მოსახლეობა მით უფრო იზრდება მოკვდაობის საერთო კოეფიციენტი.

როგორია მოსახლეობის ბუნებრივი მატება ამ პერიოდის განმავლობაში? იგი 1921 წლის 17,9‰-დან 1978 წელს 2,7%-მდე შემცირდა, რაც ბუნებრივია გამოწვეულია იმით, რომ შობადობა მოკვდაობასთან შედარებით ვაცილებით უფრო სწრაფი ტემპით შემცირდა, ამან კი გამოიწვია მათ შორის სხვაობის შემცირებაც.

შობადობის ინტენსივობა განსხვავებულია როგორც რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა ისე რეგიონების მიხედვით.

რეგიონების მიხედვით შობადობაში განსხვავებები მოცემულია მე-3 ცხრილში. ყველაზე დაბალი შობადობით გამოირჩევა საქართველოს მაღალმთიანი რაიონები, ასევე დაბალი შობადობით ხასიათდება აფხაზეთის ასსრ და ქ. თბილისი (შესაბამისად 14,7‰, 16,2‰ და 16,1‰. 1978 წ. მონაცემებით).

აღსანიშნავია, რომ მაღალმთიან რეგიონში, სხვა რეგიონებთან შედარებით, მეტია მოკვდაობა. ეს გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, ურბანიზაციით. ამ რაიონებიდან ზდება უმთავრესად ახალგაზრდობის შიგრაკია, რის შედეგადაც მოსახლეობაში მოხუცებულთა ხვედრითი წილი იზრდება, ამის ბუნებრივი შედეგი კი არის მოკვდაობის ინტენსივობის ამაღლება.

შობადობის მაღალი ინტენსივობით კი ხასიათდება აჭარის ასსრ და სამხრეთ საქართველოს რაიონები, სადაც შობადობა 1978 წ. მონაცემებით შეადგენდა შესაბამისად 21,0‰ და 22,7‰. თუმცა, 1970 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი ამ რეგიონშიც მცირდება.

ჩვენ აღნიშნეთ, რომ შობადობის ინტენსივობა განსხვავებულია რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნებებსა და ნაციონალურ ჯგუფებში. ამ მხრივ, ავტოქტონური მოსახლეობის გამრავლების ინტენსივობა თითქმის ყველაზე უფრო დაბალია.

ჩვენ ზემოდ მოკლედ მიმოვიხილეთ რესპუბლიკის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დინამიკა. ახლა კი შევეცდებით გავანალიზოთ ის ფაქტორები რომლებიც ვაღვენას ახდენენ შობადობის პროცესზე: 1. დემოგრაფიული: ქორწინება, განქორწინება, მოკვდაობა, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ურბანიზაცია; 2. სოციალურ-ეკონომიკური: ოჯახის ფუნქციის ცვლილება, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის, რეალური შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ამაღლება, პროფესიული სტრუქტურა, საზოგადოებრივ შრომაში ქალთა დასაქმების ინტენსივობა 3. ეთნიკური, ნაციონალური, რელიგიური და სხვა ფაქტორები. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ტრადიციები და ოჯახის დაგვამვის თანამედროვე მისწრაფება.

შობადობის ინტენსივობაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა გვაძლევს საშუალებას გავიგოთ მისი თანამედროვე დონისა და ტენდენციების მიზეზები. ხოლო შობადობის ცვლილებების შედეგების შესწავლა კი გვეხმარება



საქართველოს
სოფლის მეურნეობის
მინისტრო

საქართველოს სსრ მსხვერპლის ზეგნების მიზანთა აგრონების მიხედვით
(ჯამად 1000 კაგზე)

ცხ. 107-3

აგრონების ვახტეუბა	1970 წელი					1975 წელი					1978 წელი				
	ზომი	პოვობა	ზეგნების მიხედვით	ქარბინები	განკარბინები	ზომი	პოვობა	ზეგნების მიხედვით	ქარბინები	განკარბინები	ზომი	პოვობა	ზეგნების მიხედვით	ქარბინები	განკარბინები
საქართველოს სსრ (საქმეურნის და აქარის მსხრ და მსხრის თან ვახტე)	19,2	7,3	11,9	7,8	1,0	18,2	8,0	10,2	8,5	1,1	17,7	8,0	9,7	9,3	1,3
აგრონების მსხრ	16,9	5,7	11,2	8,2	1,5	16,7	6,7	10,0	8,5	1,0	16,2	7,0	9,2	9,2	2,2
აქარის მსხრ	24,9	6,7	18,2	8,7	1,0	21,7	7,7	14,0	8,4	0,9	21,0	7,4	13,6	9,3	1,1
საქმეურნის მსხრ	19,2	7,3	11,9	7,8	1,0	18,4	8,0	10,4	9,9	0,5	18,1	7,8	10,3	9,0	0,6
საქმეურნის საქართველოს საოვნების თან, მსხრეუბის აგრონის, მსხრის ზომის, პოვობის, ვახტის წილი	23,2	6,1	17,1	6,9	0,3	21,4	6,5	14,9	8,6	0,3	22,7	6,7	16,0	9,8	0,4
საქმეურნის საქართველოს საოვნების საქმეურნის ვახტის მიხედვით, მსხრ თან, ვახტის წილი	16,1	9,9	6,2	6,1	0,1	15,9	9,8	6,1	6,2	0,1	14,7	10,4	4,3	9,4	0,1
მსხრის	18,0	8,0	10,0	8,9	2,8	17,3	7,9	9,4	9,7	2,7	16,1	7,9	8,2	9,8	2,9

ს. მ. მ. მ. მ. მ.

გავიგოთ, როგორ ზემოქმედებას მოახდენს მისი დინამიკა მომავალში საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებაზე. ე. ი. ეს ფაქტორები არა მარტო ზემოქმედებენ შობადობაზე, არამედ განიცდიან შობადობის ცვლილებათა შედეგების უკუგავლენასაც.

დღეს მსოფლიოს დემოგრაფთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რა სახის ფაქტორები ახდენენ უფრო მნიშვნელოვან ზემოქმედებას შობადობაზე — დემოგრაფიული თუ ეკონომიკური.

მართალია ამჟამად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოღებასთან ერთად იზრდება ეკონომიკური ფაქტორის როლი, მაგრამ შობადობის ცვლილების ძირითად საფუძვლად მაინც რჩება დემოგრაფიული მოვლენები, რომელთა ცვლილებაც პირდაპირპროპორციულად ცვლის შობადობის ინტენსივობასაც. შეიძლება ითქვას, რომ დემოგრაფიული ფაქტორები უშუალოდ ზემოქმედებენ შობადობაზე, ხოლო ეკონომიკური ფაქტორები — არაუშუალოდ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფაქტორის ზემოქმედების ხარისხი ხასიათდება ზრდის ტენდენციებით.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა არის ის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომლის საფუძველზეც უნდა ხდებოდეს ყოველი დემოგრაფიული პროცესის გაანალიზება და შესწავლა. ჩვენთვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში დიდი სამამულო ომის შედეგად მკვეთრად დაირღვა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. 1939 წლის აღწერით ქალები შეადგენდნენ მთელი მოსახლეობის 52,1%, ხოლო 1959 წლის აღწერით მათმა რიცხოვნობამ 55 პროცენტს მიაღწია. აბსოლუტური ციფრებით თუ გამოვხატავთ 20,8 მლნ ქალი პარტნიორის გარეშე იყო დარჩენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უმთავრესად უფროსი ასაკის მოსახლეობაა და სსრ კავშირში უკვე 1960-იანი წლების შუა რიცხვებიდან 23 წლისაზე უფრო ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის ყველა ჯგუფში ქალები ვაჟებზე ნაკლები არიან. ომის შემდგომ წლებში შესამჩნევი სისწრაფით მიდის რეპროდუქტიული ასაკის ფარგლებში საერთოდ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ნორმალიზაცია.

საქართველოს სსრ-ში 1959 წელს ყოველ 1000 სულზე მოდიოდა 461 ვაჟი, 1970 წელს — 470 ვაჟი და 1978 წელსაც — 470. როგორც ვხედავთ, ამ საერთო მაჩვენებელში 20 წლის განმავლობაში უმნიშვნელო ცვლილება მოხდა. როგორი ცვლილებებია ასაკობრივ ჯგუფში? ფრიალ მნიშვნელოვანია, რომ 0—20 წლის ასაკში ვაჟთა ზედდრი-წილი მეტია, დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში კი რიცხოვნობა ქალები სჭარბობენ. ეს შეიძლება ასე აიხსნას: ჯერ ერთი, ვაჟი მეტი იბადება ვინემ ქალი; მეორე, ზოგიერთ მალალასაკობრივ ჯგუფში ვაჟთა სიმცირეა (ომის შედეგებით); ხოლო მესამე, ქალები, როგორც ცნობილია უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე ვაჟები.

ჩვენ უმთავრესად გვიინტერესებს რეპროდუქტიულ ასაკობრივ ჯგუფებში სქესის მიხედვით განაწილების პროპორციები. ქალები მეტია ყველა რეპროდუქტიულ ასაკობრივ ჯგუფში და მათი დაახლოების დაბალი ტენდენცია შეიმჩნევა. 1970 წელს 15—49 წწ. ასაკობრივ ჯგუფში ყოველ 1000 სულზე მოდიოდა 521 ქალი, ხოლო 1978 წელს კი — 516. ცნობილია, რომ რამდენადაც მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში დაცულია პროპორციები, იმდენად მეტია ქორწინების რიცხვის გადიდების შესაძლებლობები, ხოლო ქორწინებაში მყოფთა რაოდენობის ზრდა შობადობის გადიდების აუცილებელი პირობაა.

როგორც ვიცი, რამდენადაც მაღალია მთელს მოსახლეობაში ფერტილური ასაკის ქალთა წილი, მით უფრო მაღალია შობადობა. ფერტილური ასაკის ქალთა წილი მთელ მოსახლეობაში, 1970 წელთან შედარებით 1978 წელს გაიზარდა 0,7%-ით. ცხადია ისიც, რომ ისეთი დემოგრაფიული პროცესები როგორცაა ქორწინება და განქორწინება, უშუალოდ ზემოქმედებენ შობადობის ინტენსივობაზე.

როგორც ვიცი, შობადობის ინტენსივობას ფერტილური ასაკის ქალთა საერთო რაოდენობაში გათხოვილთა წილი განსაზღვრავს. თუ როგორ იცვლებოდა ქორწინებაში მყოფთა რაოდენობა ყოველ 1000 სულზე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, გვიჩვენებს ცხრილი 4. აქტიური ფერტილური ასაკი მოიცავს 16—29 წელს. ამ ასაკობრივ ჯგუფში გათხოვილთა რაოდენობა, 1959 წლის აღწერით, შესამჩნევად მცირეა. სწორედ ამ პერიოდში შედიან საქორწინო ასაკში ომის დროს დაბადებულები, რომელთა სიმცირემაც იჩინა თავი. ამან კი, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა მოსახლეობის გამრავლებაზე, 1960 წლიდან მცირდება შობადობა. 1970 წ. აღწერის მიხედვით ეს მაჩვენებელი იზრდება. წინა წლებთან შედარებით 0,5%-ით იზრდება აგრეთვე შობადობაც. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ადრე შობადობის ინტენსივობა ქორწინების პირდაპირპროპორციულად იზრდებოდა, ამჟამად შიგა ოჯახური გეგმიანობის, სოციალური პიგიენისა და სხვა ფაქტორების გავლენით იგი ასე აქტიურად ვეღარ მოქმედებს შობადობაზე.

ცხრილი 4

მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე ქორწინებაში მყოფთა რაოდენობა (აღწერის მასალების მიხედვით)

ასაკობრივი ჯგუფი	1959 წელი		1970 წელი		1979 წელი	
	ვაგი	ქალი	ვაგი	ქალი	ვაგი	ქალი
16 წ. მეტი ასაკის მთელი მოსახლეობა	673	557	717	627	692	589
16—17 წ.	10	47	11	59	12	50
18—19 "	35	175	40	237	41	230
20—24 "	216	479	212	536	659	736
25—29 "	692	738	655	773	830	806
30—34 "	892	794	847	827	904	825
35—39 "	936	746	931	846	938	812
40—44 "	951	674	951	816	954	796
45—49 "	957	632	955	756	946	729
50—54 "	949	598	946	661	937	210
55—59 "	937	569	941	603	917	472
60—69 "	906	473	915	503	896	379
70 წ. და მეტი	787	242	807	327	775	217

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შობადობის შესწავლაში გავრცელდა ე. წ. კოპორტის მეთოდი, როდესაც დაკვირვების ობიექტი ხდება ერთი-დამივე კონკრეტული ერთობლიობის, ე. ი. ერთსადაიმევე წელს დაბადებული, ქორწინებაში ერთდროულად შესული ან ქორწინებაში თანაბარი პერიოდის მანძილზე მყოფი ქალები. ქორწინებაში ერთდროულად შესული ქალების უმრავლესობა აჩენს პირველ შვილს დაახლოებით 1—2 წლის განმავლობაში, შემდეგ კი მცირდება ქალთა რაოდენობა, რომლებიც აჩენენ მეორე და

შემდგომ ბავშვებს. ამიტომ, თანამედროვე პერიოდში, პირველ შვილთა კოპორტა მრავალრიცხოვანია, მეორე, მესამე და ა. შ. შვილთა კოპორტა კი შესამჩნევად მცირდება.

ფერტილობის ხარისხი მაღალია 16—24 წლის ასაკის გათხოვილ ქალებში, ხოლო 25 წლის ასაკის შემდეგ, გათხოვილ ქალთა საშუალო ინფერტილობა, უფრო ადრე დაქორწინებულებთან შედარებით დაახლოებით 2—3-ჯერ მეტია. დემოგრაფები ანსხვავებენ ინფერტილური ქორწინების სამ ტიპს: 1. ფიზიოლოგიურად სტერილურ ქორწინებას, როდესაც ცოლქმარს, მიუხედავად საკუთარი ნება-სურვილისა, არ შეუძლია გააჩინოს ბავშვი, 2. ინფერტილურ ქორწინებას, როდესაც ცოლ-ქმარი, ამა თუ იმ მიზეზით შეგნებულად არ აჩენს შვილს და 3. ქორწინებას, როდესაც წყვილს ფიზიოლოგიურად შეუძლია იყოლიოს ბავშვი, მაგრამ გადაწყვეტილი აქვს გარკვეული ვადის გასვლამდე (ბინის მიღებამდე, სწავლის დამთავრებამდე და ა. შ.) არ გააჩინოს.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის თითქმის ყველა მომენტზე მოქმედებს მოსახლეობის მიგრაცია. განსაკუთრებით მიგრირებადია შრომაუნარიანი ასაკის მოსახლეობა. მათ შორის, მაღალი წილით ხასიათდება 20 — 29 წ. ასაკობრივი ჯგუფი. საქართველოს ქალაქების მოსახლეობის მთელი მექანიკური მატების 3/4 აღნიშნული ასაკის მოსახლეობის წილად მოდის. უნდა აღინიშნოს, რომ მიგრანტთა 60%-ზე მეტი ვაჟია. ეს აღინიშნება მიმართულებაში „სოფელი — ქალაქი“, ხოლო ისეთ ტერიტორიულ მიმართულებაში, როგორცაა „სოფელი — სოფელი“ — ქალთა წილი ჭარბობს. მაგალითად, 1970 წ. აღწერის მონაცემებით აღნიშნულ ტერიტორიულ მიმართულებაში ვაჟების წილმა შეადგინა მხოლოდ 38%.

სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია, ქალაქთან შედარებით სოფლად შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქში კანონზომიერი პროცესია, მაგრამ ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს „გეგმავზომიერად“. სოფლად საშუალოთა შესრულების მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლების შედეგად გამოთავისუფლებული მუშა-ხელი გადაადგილდება ქალაქად, სადაც მათი დასაქმების რეალური შესაძლებლობები არსებობს. ქალაქად მოსახლეობა იზრდება სწრაფი ტემპით, მაგ., თუ 1897 წ. ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა მხოლოდ 19%-ს, 1960 წელს იგი გაიზარდა 42,2%-მდე, ამჟამად 1979 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, იგი შეადგენდა 52,0%-ს. როგორც ცნობილია, არსებობს ქალაქის მოსახლეობის მატების სამი წყარო: ბუნებრივი მატება, აღმინისტრაციულ-ტერიტორიული გარდაქმნა და მიგრაცია.

რესპუბლიკაში ურბანიზაციის პროცესის არასასურველი მხარეა ის, რომ ქალაქის მოსახლეობის მატება უმთავრესად ზუთ დიდ ქალაქზე მოდის, ესენია: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, სოხუმი და ბათუმი.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, უმთავრესად გადაადგილდება აქტიური რეპროდუქტიული ასაკის მოსახლეობა, მათ შორის უმეტესობას ვაჟები შეადგენენ. ყოველივე ეს იწვევს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმირებას; ეს კი, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს შობადობის ინტენსივობაზეც. ამის მკაფიო სურათს იძლევა საქართველოს მთიანი მოსახლეობის მაგალითი. აქ როგორც ვიცით მოსახლეობის მიგრაცია მეტად მაღალია, ხოლო

მესამისად შემცირებულია შობადობის კოეფიციენტი; იგი შეადგენს 14,7%³ ხოლო მოკვდაობა 10,4%-მდე გაიზარდა.

როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებული დემოგრაფიული ფაქტორები შობადობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. იმისათვის რომ ეს დემოგრაფიული პროცესები სასურველი სახით განხორციელდეს, საჭიროა მათზე ვიმოქმედოთ დემოგრაფიული პოლიტიკის ღონისძიებებით.

შობადობის ამალგების საკითხზე საქართველოს სსრ ცკ XVII პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ „დაევალოს მინისტრთა საბჭოს შეიმუშაოს და წარმოგვიდგინოს თავისი წინადადებანი“³. უნდა ვიფიქსირებოთ, რომ ამ წინადადებათა განხორციელების შემდეგ, რამდენადმე გაიზარდება შობადობის ინტენსივობა.

Н. И. БАЧИЛАВА

НЕКОТОРЫЕ ДЕМОГРАФИЧЕСКИЕ ФАКТОРЫ, ВЛИЯЮЩИЕ НА РОЖДАЕМОСТЬ В ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

За последние два десятилетия в республике намечена тенденция резкого падения интенсивности рождаемости, в результате чего сокращается и естественный прирост населения. Такая демографическая ситуация постепенно ставит вопросы нехватки трудовых ресурсов.

Цель данного исследования состояла: в изучении демографической ситуации в республике в целом и в регионах, а также в определении влияния некоторых демографических (поло-возрастная структура, брак, миграция) факторов на интенсивность рождаемости и обосновании необходимости разработки эффективной региональной демографической политики.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პ. გუგუშვილმა.

³ საქ. სსრ ცკ XVII პლენუმის მასალები, გაზ. „კომუნისტი“, 1979, წ. 31.X.

ოთარ შარაძე

მტკვარზე ნაოსნობის ისტორიიდან

რუსეთთან ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების შემდეგ შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სამომავლო საშუალებათა გაუმჯობესებას. კეთილმოწყობილი შარავნები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილებისათვის, მაგრამ მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ირანისა და შემდეგ თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებისას. ამ პერიოდისათვის აღმ. საქართველო რუსეთს მხოლოდ ოსეთის ანუ დარიალის გზით უკავშირდებოდა. თუმცა ეს გზა უმოკლეს მანძილს წარმოადგენდა, მაგრამ ჯვრის უღელტეხილზე გადასვლა და დარიალის ვიწრო ხეობაში გასვლა შეუძლებელი იყო ზამთრის პერიოდში, ამავდროს გზის კეთილმოწყობლობა აძნელებდა მგზავრობას და ტვირთბრუნვას, რაც დაკავშირებული იყო დიდ საშიშროებასთანაც. უმთავრესად ამ გზით მარავდებოდა აღმ. საქართველოში მყოფი სამხედრო ნაწილები. ასტრახანს, კიზლარსა და ჩრდილოეთ კავკასიის მრავალ პუნქტში მოეწყო საწყობები, საიდანაც იგზავნებოდა საქართველოში რუსეთის ჯარის ნაწილებისათვის ზოგიერთი სურსათ-სანოვავე, ტანსაცმელი და საბრძოლო იარაღი. დარიალის გზის დახურვის შედეგად საწყობებში გროვდებოდა დიდძალი საქონელი, იზრდებოდა ტვირთის გადაზიდვის ხარჯები და იკარგებოდა დიდი დრო¹. მიუხედავად წარმოქმნილი სიძნელეებისა ამიერკავკასიის ადგილობრივი ხელისუფლება და რუსეთის მეფის მთავრობა მნიშვნელოვან სახსრებს გამოჰყოფდნენ დარიალის ანუ როგორც იმ დროს უწოდებდნენ — სამხედრო გზის შეკეთებისა და კეთილმოწყობისათვის. ამავდროს, არაგვის ხეობის ადგილობრივ მცხოვრებლებს ბეგარის სახით და დაქირავებით აძულებდნენ გზის კეთილმოწყობაზე მუშაობას. ხშირ შემთხვევაში საგზაო მშენებლობაზე გაყვანილ გლეხობას არ აუნაზღაურებდნენ შრომას, ეპყრობოდნენ უხეშად და დამამცირებლად, რაც საქართველოს მთიანეთის გლეხთა აჯანყების ერთ-ერთ მიზეზი გახდა².

რუსეთ-ირანის ომის დროს (1804—1813 წწ.) აღმ. საქართველოდან თავისი ურმებით და გამწვევი ძალით მობილიზებულ იქნა დიდძალი გლეხობა, რომელსაც რუსეთის ჯარების საჭიროებისათვის გადაჰქონდა საბრძოლო იარაღი, ტანსაცმელი და სურსათ-სანოვავე. მაგრამ ამას სისტემატური ხაითი არ ჰქონდა სამხედრო გზის სეზონურობის გამო. რუსეთის ჯარების კასპიისპირეთში გასვლით შესაძლებელი შეიქმნა მისი სურსათ-სანოვაგით მომარაგება, როგორც

1 М. Н. Гарсевичев, Кура, Очерк гидрографии Кавказского края, СПб, 1886, с. 97.

2 ვ. ი. ტოგონიძე, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.), თბ., 1951, გვ. 74, 75.

სახელეთო გზით, ისე მდ. მტკვრის გამოყენებით კასპიის ზღვიდან (სალაინიდან) ზადრობამდე (მდ. არაქსის მტკვრის შესართავი), ადგილობრივ მცხოვრებთა ნავეებით (კირჩხები), რომლებსაც შეეძლოდ 600-დან 2000 ფუთამდე ტვირთის გადატანა³. როდესაც გენ. რტიშევი დაინიშნა კავკასიის ჯარების სარდლად და მთავარმართებლად ჯარების მომარაგების გაუმჯობესების მიზნით მან ყურადღება მიაქცია მდ. მტკვრის ნაოსნობისათვის გამოყენებას, რათა ვოლგის სანაოსნო გზით ცენტრალური რუსეთი დაკავშირებოდა ამიერკავკასიის ცენტრს. ეს უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებდა, კასპიის ზღვიდან გემების შემოსვლას მდ. მტკვარში და მისი დინების აყოლებით თბილისამდე, ან უკეთეს შემთხვევაში სამუხებმდე (მდ. ალაზნის მტკვრის შესართავი) მისვლას⁴.

1814 წელს გენ. რტიშევიმ ისარგებლა კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილში რუსეთის სამხედრო ესკადრის ყოფნით და მოითხოვა მის ეკიპაჟს შეესწავლა მდ. მტკვრის სანაოსნოდ ვარგისიანობა. პირველი რანგის კაპიტანმა ვესიოლიმ ისარგებლა მტკვრის წყალუხვობით და შესძლო მისი წინასწარი შესწავლა ზღვის შესართავიდან სამუხებმდე. მას შემდეგ იგივე გენ. რტიშევის ინიციატივით, შეიქმნა ექვსი ნავისაგან შემდგარი ფლოტილია (მათ შორის სამი მცირე ტვირთტევადობის), რომელსაც კაპიტან-ლეიტენანტი კორობკა მეთაურობდა. 1814 წლის 13 ივნისს ფლოტილია კუნძულ საარიდან გავიდა და 16 ივნისს აყვა მტკვრის დინებას. იმავე წლის 12 სექტემბერს ფლოტილიის ორი გემი მოვიდა დანიშნულ პუნქტამდე ე. ი. სამუხებმდე⁵. მიუხედავად ზოგიერთი დაბრკოლებისა, დადგინდა მდინარე მტკვრის სანაოსნოდ გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ ამის განხორციელება მაშინ შეუძლებელი იყო, ვინაიდან რუსეთის კასპიის ზღვის ფლოტი ჯერ კიდევ არ იყო მძლავრი. მდ. მტკვარზე ნაოსნობას მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, თუ რეგულარული მოძრაობა იქნებოდა კასპიის ზღვაზე და ვოლგაზე, მაგრამ ეს ვერ ხორციელდებოდა სხვადასხვა მიზეზების გამო.

მდ. მტკვარი, როგორც ანტიკური ხანის ისტორიკოსები გადმოგვცემენ, გამოიყენებოდა სანაოსნოდ და მას ადგილობრივი ხალხების ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა. იგი წარმოადგენდა ერთ-ერთ სამდინარო გზას ამიერკავკასიიდან კასპიის ზღვით — ინდოეთამდე. აკად. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს რა სტრაბონის ცნობა საქართველოს შესახებ, აღნიშნავს: „რამდენად შეცვლილია წინანდელთან შედარებით ქართლის ბუნება იქიდან შეიძლება ადაზინდებულად წარმოადგენა იქონიოს, რომ ძველად თბილისის მიდამოები და მახლობელი მთები ტყით ყოფილა მოფენილი და მტკვარსა და ალაზანზე ნაოსნობა იყო გაჩაღებული“.

მდ. მტკვრის ეკონომიკური მნიშვნელობა ჯერ კიდევ რუსეთის იმპერატორმა პეტრე 1-მა შეაფასა და მის განხორციელებას ფიქრობდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებამდე. 1722 წელს რუსეთ-ირანის ომის დროს პეტრე პირველი დაინტერესდა მდ. მტკვრის მნიშვნელობით. ეს, ერთის მხრივ, მიზნად ისახავდა თავის სამხედრო მოკავშირის — ქართლის მეფის ვახტანგ VI დაა-

³ М. Н. Гарсеванов, Цит. соч., с. 97.

⁴ Газ. «Кавказ», 1851 г. № 56.

⁵ М. Н. Гарсеванов, Цит. соч., с. 97, М. Корганов, Исторический очерк пороходства на реке Куре, Сб., сведений о кавказе, т. II, Тиф., 1872, с. 68.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1930, გვ. 147.

ზღოების ახალ საკომუნიკაციო საშუალებათა გამოჩენას, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის ხალხებთან სავაჭრო, ეკონომიკური ურთიერთობის ფართოდ გაშლას. მას განზრახული ჰქონდა კასპიის ზღვისა და მდ. მტკვრის შესართავთან სავაჭრო ცენტრის შექმნა, საიდანაც ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ვაჭრები შეძლებდნენ ასტრახანთან დაკავშირებას. ამასთან ერთად, პეტრე 1-მა რუსეთის კონსულს შამახიაში დაავალა შეეგროვა ცნობები მდინარე მტკვრის შესახებ, გამოერკვია თუ საიდან მომდინარეობს, რა სიღრმისაა, რა ტიპის ხომალდები დაცურავენ და რომელ პუნქტამდე, რა ხალხები ცხოვრობენ მდინარის გასწვრივ და სხვა⁷. დასახული მიზნის განხორციელებისათვის კასპიის ზღვის ფლოტის ერთ-ერთ მეთაურს სოიმონოვს დაევალა მტკვარში გემებით შესვლა და თბილისამდე გზის გაგრძელება. 1722 წ. 23 ნოემბერს სოიმონოვი გემებით მოვიდა მდ. მტკვრის კასპიის ზღვის შესართავთან, 28 ნოემბერს კი გემებით შევიდა მდინარეში, სადაც დაპყრო მომდევნო წლის ზაფხულამდე. სოიმონოვმა მოახდინა რა მდ. მტკვრის აზომვა იმავე დროს მონახა ადგილი სალიანის ნაცვლად ახალი სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად⁸. სოიმონოვის ანგარიშგების გაცნობის შემდეგ პეტრე 1-მა გეხერალ-ლეიტენანტ მატეიშკინს დაავალა გამგზავრებულყოფად ადგილზე და დაუყოვნებლივ შესდგომოდა სოიმონოვის მითითებულ ადგილზე ციხე-სიმაგრის მშენებლობას, ამასთან ერთად, გადაწყდა თუ მუშა-ძალა რუსეთის რომელ პროვინციიდან უნდა გამოეყვანათ⁹. მალე პეტრე 1 გარდაიცვალა. (1725 წ.) ევროპის ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავების გამო შენედა რუსეთის ინტერესები კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროსა და ამიერკავკასიის მიმართ. ირანის გავლენისაგან გათავისუფლებული ადგილები რუსეთმა კვლავ ირანს დაუბრუნა. მდ. მტკვრის სანაოსნოდ გამოყენების საკითხი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ამიერკავკასიაში რუსეთის დამკვიდრების პირობებში.

როგორც კი კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა მიხეილ ვორონცოვი, სხვა საკითხებთან ერთად, მეფის რუსეთის ინტერესების შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ მხარის ეკონომიკური აღორძინების საშუალებათა გამოჩენას და მათი დაუყოვნებლივ რეალიზაციას. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად იგი მიიჩნევდა ადგილობრივი სანედლეულო ბაზის გაფართოება-განმტკიცებას და მის დამორჩილებას რუსეთის ახლადფეხადგმულ მრეწველობისათვის. ამიერკავკასიის რუსეთისათვის უნდა შეესრულებინა ის როლი, რაც ინგლისისათვის ინდოეთს, ამიერკავკასიისა და რუსეთს შორის საქონლის გაცვლის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლის შესრულება ეკისრებოდა სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგებას რუსეთსა და ამიერკავკასიის შორის, ამიტომ მ. ვორონცოვმა გადაწყვიტა მდ. მტკვრის ძველი მნიშვნელობის აღდგენა, მისი სანაოსნოდ გამოყენება და ამ გზით საქართველოს და ამიერკავკასიის დაკავშირება რუსეთის სამრეწველო ცენტრებთან, ამის საფუძველს იძლეოდა ადრე ჩატარებული ცდები.

რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, მ. ვორონცოვი 1846 წელს კაპიტან-ლეიტენანტ ზელიონის ავალეხს ლითონის პატარა ორთქლის გემით „ვოლგით“ მოაწყოს მოგზაურობა კასპიის ზღვიდან მდ. მტკვარზე და შეისწავლოს მისი ფორეარტერი.

7 გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 24.

8 Ф. И. Соимонов, Описание Каспийского моря... СПб., 1763.

9 Акт Кавказской археографической комиссии (АКАК), т. XI, с. 798, 817.

ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კოდექსების უმრავლესობა დანაშაულს ყოფს — დანაშაულად, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით და პოლიციურ დარღვევებად. ამ უკანასკნელში შედის სხვადასხვა ხასიათის გადაცდომები. მსგავს დაყოფას საფუძვლად უდევს სასჯელის ხასიათი. ამ დაყოფას ვხვდებით იმ სახელმწიფოთა კოდექსებშიც, რომლებშიც დასჯადი ქმედობები იყოფა მხოლოდ დანაშაულად და გადაცდომად.¹¹ სამართალდარღვევების დაყოფა დანაშაულად და გადაცდომად ცნობილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის. აქ სისხლის სამართლის კოდექსის მეორე თავის § 1-ში გარკვევით არის დახასიათებული, თუ რა იგულისხმება გადაცდომაში და რა ითვლება დანაშაულად. აღნიშნული კანონმდებლობით ორივე სისხლის სამართლის წესით დასჯადი სამართალდარღვევაა. უმრავლესობა დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობის გადაცდომას განიხილავს, დამოუკიდებელი ხასიათის დარღვევად, რომელიც თვისებრივად განსხვავდება დანაშაული-საგან, რაც ლოგიკურად იწვევს არსებით განსხვავებას სასჯელშიც.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცნობს ბურჟუაზიული კანონმდებლობისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ დაყოფას დანაშაულად და გადაცდომად.

რესპუბლიკური ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების შედგენისას რამდენიმე პრინციპული ხასიათის საკითხი იქნება გადასაწყვეტი.

1. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსიდან ნორმების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გადატანა. ისმის საკითხი, რომელი ნორმების ბუნება უნდა შეიცვალოს და რა უნდა დაედოს საფუძვლად ასეთ შეცვლას. გამოითქვა მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის წესით დასჯადად მიჩნეული ქმედობები, რომელთა სასჯელის ზომად დაწესებულია 1 წლის თავისუფლების აღკვეთა ან უფრო მსუბუქი სასჯელი, გადატანილი იქნეს ადმინისტრაციულ კოდექსში და მათთვის პასუხისმგებლობაც ადმინისტრაციული დაწესდეს. აღნიშნული მიდგომა მექანიკურია და ამ პრინციპის გამოყენებას თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს. ასეთ შემთხვევაში ბევრი ქმედობა, რომლებიც სისხლის სამა-

¹¹ С. Л. Зивс. Развитие формы права в Современных империалистических государствах. Из—во АН СССР 1960 г. с. 39—40.

რთლის წესით ისჯება და ამ ქმედობათა მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება ექვეს არ იწვევს, თუმცა სანქცია 1 წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს, ადმინისტრაციულ კოდექსში მოხვედბა, მაგ: მუხლები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 231 მუხლით გათვალისწინებული ორცილიანობა ან მრავალცილიანობა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექმნა ან გასაღება (მ. 229); ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რითაც შექმნილი იყო პირობა ამ იარაღის ხსვა პირის მიერ გამოყენებისათვის (239) და სხვ.

სანქციის ხასიათი განისაზღვრება სამართალდარღვევის ხასიათით. მისი მატერიალური ნიშნებით, უპირველეს ყოვლისა, მისი სოციალური მნიშვნელობით. სამართალდარღვევათა დაყოფა მათი სოციალური მნიშვნელობისდა მიხედვით, არის დაყოფა ამავე დროს მართლწინააღმდეგობის ხასიათის მიხედვით. დანაშაული არის სამართალდარღვევა, რომელიც სისხლის სამართლის ნორმით არის აკრძალული, გადაცდომა კი — ადმინისტრაციული სამართლითაა აკრძალული. მართლწინააღმდეგობის ხასიათი ერთი სახის სამართალდარღვევას გამოყოფს მეორე სახის სამართალდარღვევისაგან. კონკრეტული სამართალდარღვევის ხასიათის განსაზღვრისას არ შეიძლება გამოვიდეთ ამა თუ იმ ხასიათის სანქციის გამოყენების შესაძლებლობიდან. ზუსტად უნდა იქნეს დადგენილი, რა ხასიათის სამართალდარღვევაა და რა სახის სანქცია არის მისთვის გათვალისწინებული. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი ვასაქანი მიეცემა თვითნებობას. თანდებობის პირს შეიძლება ეგონოს, რომ მოცემული სამართალდარღვევისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული სანქცია და გამოიყენებს კიდევ მას, სინამდვილეში კი აღმოჩნდება რომ ქმედობა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და საქმე უნდა გადაეცეს პროკურატურას. მით უფრო სავალალო შედეგებამდის მიგვიყვანს შეცდომების პირუკუ.

2. საჭიროა ზუსტად განისაზღვროს და დადგინდეს ადმინისტრაციული წესით დასჯადი და მათი მონათესავე სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედობებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ამჟამად არსებითი განსხვავება მათ შორის არ შეიმჩნევა, რაც აძნელებს პრაქტიკულად მათ კვალიფიკაციას. ზოგი ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ მთელ რიგ შემთხვევაში გაურკვეველია ადმინისტრაციული გადაცდომისა და შესაბამისი დანაშაულის შინაარსი, მათ შორის საზღვრები და გამიჯვნის სფეროები¹².

სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებში ხშირად არის გამახვილებული ყურადღება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამიჯვნას. მაგალითისათვის გავიხილოთ საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის № 7 დადგენილება, „მილიციის მუშაკის და სახალხო რაზმელის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფისათვის პასუხისმგებლობის კანონმდებლობის გამოყენების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“¹³. აღნიშნულ დადგენილებაში მკვეთრი ზღვარია გავლებული ადმინისტრაციულ გადაცდომისა და დანაშაულს შორის, როცა საქმე ეხება ხელისუფლების წარმომადგენლისათვის ბოროტ დაუმორჩილებლობას.

¹² ვ. ლორია, ადმინისტრაციული ჯარის დაქირების წესი, თბილისი, 1972, გვ. 36.

¹³ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1970, с. 477—

დანაშაული, როგორც წესი, ყოველთვის უფრო მეტი საზოგადოებრივად საშიში ხასიათის არის, ვიდრე მისი მომიჯნავე სამართალდარღვევანი.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილის შედგენისას საჭირო იქნება ადმინისტრაციულ გადაცდომათა კლასიფიკაცია ხელყოფის ობიექტის მიხედვით. „საფუძვლებმა“ გარკვევით გადაჭრეს საკითხი ადმინისტრაციულ გადაცდომათა ობიექტის შესახებ. „საფუძვლების“ მიღებამდე გავრცელებული იყო შეხედულება იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული გადაცდომა მმართველობის სფეროში ხდება და მმართველობის წესის წინააღმდეგ არის მიმართული და რომ სწორედ მართველობის წესია გადაცდომის ობიექტი.

მაგრამ, ეს ყოველთვის ასე არ არის, ისინი ყოველთვის არ გვხვდებიან მმართველობის სისტემაში. თუ დაუუკვირდებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გვხვდება სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, წვრილმანი სპეკულაცია საქონელბრუნვის სფეროს ეკუთვნის და სამეურნეო ხასიათის დანაშაულია; წვრილმანი ხელიგნობა არღვევს მოქალაქეთა სიმშვიდეს და მისი ობიექტი საზოგადოებრივი წესრიგია. წვრილმანი დატაცება უმეტესად წარმოებაში ხდება და მიმართულია სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის წესით დასჯადი მსგავსი ქმედობების ობიექტიც იგივეა. ამიტომ მსგავს შემთხვევებში დანაშაულის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამიჯვნა უნდა მოხდეს დანაშაულის ობიექტის მიხედვით.

დანაშაულებრივი ხელყოფის საერთო ობიექტი ფართეა, ვიდრე ადმინისტრაციული ან სხვა სახის სამართალდარღვევათა ობიექტი. სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები, სახელმწიფო მმართველობის სისტემა, ადმიანის სიცოცხლე, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, სქესობრივი ხელშეუხებლობა ყოველთვის სისხლის სამართლის დაცვის აუგაროს შეადგენს. სამართლის სხვა დარგები* აღნიშნულ ობიექტებს მხოლოდ შუალობითად იცავენ ან უმრავლეს შემთხვევაში იცავენ აღნიშნული ობიექტების ამა თუ იმ მხარეს. დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე დანაშაულებისას არ ისმის საკითხი მათი სხვა სამართალდარღვევისაგან გამიჯვნისა, რადგან ისინი არ შეიძლება მიჩნეულ იქნან მცირე მნიშვნელობის ქმედობებად. თუ პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა არ არის, შეიძლება ვილაპარაკოთ სხვა სახის სამართალდარღვევაზე, ან ამორალურ ქცევაზე ან საერთოდ საზოგადოებრივი საშიშროების არ მქონე ქმედობაზე.

კანონმდებელმა მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ეს, „საფუძვლებით“ ზუსტად განსაზღვრა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ის წრე, რომელსაც ხელყოფის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ეს წრე კი საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი „საფუძვლების“ პირველ მუხლში, სადაც მითითებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ობიექტები. ესენია: სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობა, სოციალისტური საკუთრება, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უფლებები და კანონიერი ინტერესები, მმართველობის დადგენილი წესი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგი, სოციალისტური კანონიერება, მოქალაქეთა უფლებები, პატივი და ღირსება, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიღებისას ზუსტად უნდა განისაზღვროს იმ ორგანოების წრე, რომლებიც მოწოდებულნი იქნებიან

განხილონ და გადაწყვიტონ საქმეები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ. ამჟამად ასეთ ორგანოებად არიან მიჩნეულნი ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები, სასოფლო საბჭოები, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, სახალხო-სასამართლოები, სახალხო მოსამართლეები, შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები, სასურველია თუ აღნიშნული უფლებებით აღჭურვილი ორგანოების წრე მეტად ფართე არ იქნება და შემოიზღუდება ამა თუ იმ სისტემით. ზოგიერთი ორგანოს მიმართ კანონმდებელმა უკვე გამოთქვა თავისი დადებითი დამოიკიდებულება.

დიდია როლი სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის, რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიებისა, რომელთა ფუნქციაა საფუძვლების მიხედვით გადაწყვიტონ ყველა საქმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, იმ საქმეების გარდა, რომლებიც მიკუთვნებულნი არიან სხვა ორგანოების კომპეტენციას (მუხლი 27).

ასევე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები, რომელთა არსებობამაც დაადასტურა, რომ ყველაზე კარგი ფორმაა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის.

სახალხო სასამართლო, სახალხო მოსამართლე მოწოდებულია გადაწყვიტოს უფრო სერიოზული ხასიათის ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, ისეთები, რომლებიც სასჯელის ზომად ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პატიმრობას და გამასწორებელ სამუშაოებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები ქმნიან მყარ საკანონმდებლო საფუძველს სამართალდარღვევათა* თავიდან აცილებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ამაღლების ეფექტურობისათვის.

Н. Г. УГРЕХЕЛИДЗЕ

НЕКОТОРЫЕ АКТУАЛЬНЫЕ ВОПРОСЫ РАЗГРАНИЧЕНИЯ АДМИНИСТРАТИВНОГО ПРАВОНАРУШЕНИЯ И ПРЕСТУПЛЕНИЯ

Резюме

В статье рассматриваются теоретические вопросы социальной характеристики преступления и административного правонарушения. Ставится ряд проблем практического характера. Подчеркивается, что при подготовке республиканских кодексов об административных правонарушениях нужно будет, во-первых, перевести ряд составов УК в кодексы об административных правонарушениях. Во-вторых, нужно более четко определить конкретные признаки, отграничивающие административные проступки от близких к ним преступлений.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიისა და არასრულწლოვან დამნაშავეთა ბიოგენების შემსწავლელი განყოფილებამ

**რეცენზია ქართული სწავლული იურიდიის ნაშრომზე
„უხარულ შურნალში“**

თანამედროვე ცხოვრებაში ფსიქოლოგია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს. ეს მეტწილად იმითაც აიხსნება, რომ ფსიქოლოგია გვევლინება როგორც დამხმარე მეცნიერება სისხლის სამართალში. დღეს ფსიქოლოგების ხელში თავმოყრილია დიდი და საფუძვლიანი ცოდნა, რომლის გაუთვალისწინებლად ბევრი საკითხი და პრობლემა სისხლის სამართალში ვერ გადაწყდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ მეცნიერებას შორის თანამშრომლობას უკვე მიეცა დასაბამი და ბევრმა სწავლულმა იურისტმა დაიწყო ფსიქოლოგიურ თემაზე მუშაობა, შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ეს ჯერ კიდევ მხოლოდ პროექციულ ხასიათს ატარებს. უნგრეთის სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც არის ამგვარი შრომები, მაგრამ ისინი მიხსლოებითაც არ აკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნას. ასეთ ვითარებაში მე განვიზრახე დამოუკიდებლად ჩავწვდომოდი ნაშრომს რომელიც, ჩემის აზრით, ყურადღების ღირსია. თ. შავგულიძის წიგნი გვიჩვენებს რაოდენ სოლიდური და ღრმა ცოდნა აქვს ავტორს, რომელიც თავის შრომაში აშუქებს ლიტერატურაში აქამდე განუხილველ საკითხებს, თუმცა ეს პრობლემები სისხლის სამართლის წინაშე ადრეც იდგა. და ჩვენ მოვალენი ვართ აღვნიშნოთ, რომ ავტორმა, ამ წიგნით აამიღლა მეცნიერების დონე.

წიგნის პირველ თავში, რომელშიც გაშუქებულია დანაშაულებრივი ქცევის პრობლემა სისხლის სამართალში, დეტალურად არის განხილული ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურისა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ურთიერთობის საკითხები. სისხლის სამართალს აინტერესებს ადამიანის მხოლოდ ისეთი ქცევები, რომელშიც იგი გამოდის როგორც გარკვეულ ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობათა მატარებელი გონიერი არსება, რომელსაც შეუძლია შეასრულოს მართლწესრიგის მოთხოვნები. როცა ადამიანის ქმედობაზე ლაპარაკობენ, ფსიქოლოგები ანსხვავებენ ნებელობით და იმპულსურ ქცევას. ნებელობითი ქმედობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა სისხლის სამართალში დავას არ იწვევს. იგივე არ ითქმის იმპულსურ ქმედობაზე, რომელსაც ფსიქოლოგები მიაკუთვნებენ აგრეთვე აფექტურ ქმედობასაც. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსებში არის შემადგენლობები, რომლებიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ე.ი. აფექტში ჩადენილი ქმედობისათვის. უნებურად იზადება კითხვა, დანაშაულებრივი ქმედობა ხომ არ სცილდება ნებელობითი ქცევის ფარგლებს და ხომ არ მიეკუთ-

¹ თ. შავგულიძე. აფექტი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თბილისი, 1973, გამომცემლობა „მეცნიერება“. რეცენზია დაიბეჭდა ჟურნალ „Jogtudományi Közöny“-ს 1978 წლის მეექვსე ნომერში.

ვნება მას იმპულსური ქცევაც, რომელიც ნებელობითში არ შედის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია თუ გავარკვევთ ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურას. ამიტომ, ავტორი დეტალურად იკვლევს ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურას, რომლის ახსნისას ემყარება ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის განწყობის თეორიას.

ავტორი თვლის, რომ პიროვნების, ინდივიდის ჩამოყალიბება ხდება მოთხოვნილებათა საფუძველზე, ხოლო მასზე მოქმედი გარე სამყარო, გვევლინება მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციის სახით. გარე სამყარო სუბიექტის ქმედობაში აისახება როგორც გარკვეული მოთხოვნილების სიტუაცია. ამგვარად, ეს ეფექტი ვლინდება სუბიექტის სახეცვლაში, მის გარდაქმნაში. თვით სუბიექტი იცვლება მოთხოვნილების სიტუაციის ცვლილების კვალობაზე, ამიტომ მისი ქცევა გვევლინება როგორც სუბიექტის მოქმედება, რომელიც ჩამოყალიბებულია მოცემული გარემოს შესაბამისად. ამგვარად, სუბიექტის ქცევის ხასიათი მოცემულ სიტუაციაში გარკვეულწილად განპირობებულია განწყობით ჯერ კიდევ ქმედობის დაწყებამდე. მაშასადამე განწყობა არის ისეთი შინაგანი მდგომარეობა, რომელიც სუბიექტში აისახება სიტუაციის შესაბამისად და ქცევის უშუალო მიზეზი და პირობაა. განწყობაში აისახება ქცევის სიტუაცია, ამიტომ მისი შესაბამისი ქცევა — მიზანშეწონილია. განწყობა, როგორც ქცევის უშუალო წყარო ამავე დროს განსაზღვრავს ქცევის მიზანშეწონილობასაც. სასჯელის გამოყენება შესაძლებელია სწორედ იმიტომ, რომ ადამიანს უნარი შესწევს გაერკვეს თავის მოთხოვნილებებში და არ დაემორჩილოს ამა თუ იმ მოთხოვნილებას. სუბიექტის განწყობა ავტომატურად როდი გადადის შესაბამის ქცევაში, იგი ვლინდება სხვა ფორმით; ნაცვლად იმისა, რომ გამოიწვიოს გარკვეული ქცევა იგი გზას იკაფავს შეგნებისკენ და იქ ხდება მისი რეალიზაცია წარმოდგენის სახით, რომელიც მოქმედებას შეესაბამება, მაგრამ ქცევა ყოველთვის როდი ცნობიერდება სუბიექტის მიერ. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა იგი რაიმე წინააღმდეგობას აწყდება, სუბიექტური ხასიათისა იქნება ის თუ ობიექტურისა.

როცა ქცევა რომელიმე აქტუალური მოთხოვნილების ზემოქმედებით მიმდინარეობს, მისი ცალკეული ეტაპები და მომენტები თითქოსდა თავისთავად მიმდინარეობენ შეგნებული მართვის გარეშე. ასეთი ქცევა უფრო მეტად განისაზღვრება იმ სიტუაციით, რომელშიც იგი ხორციელდება, მაშინ სუბიექტზე მოქმედებს აქტუალური სიტუაცია, რომელიც იწვევს გარკვეულ განწყობას. სწორედ ეს განწყობა წარმართავს სუბიექტის მოქმედებას. რამდენადაც ამგვარ შემთხვევებში აქტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იმპულსურად ხდება, ქცევას იმპულსურს უწოდებენ.

იმპულსური ქცევა და რეფლექტორული მოქმედება არ არის ერთგვაროვანი, მართალია იგი არ არის გაცნობიერებული, მაგრამ ეს როდი ნიშნავს რომ იგი არ ექვემდებარება ადამიანის კონტროლს, თუმცა ასეთი მოქმედება განწყობით წარიმართება და მოუფიქრებელია, ის მაინც მიზანშეწონილი მოქმედებაა და სუბიექტს უნარი აქვს გააცნობიეროს იგი.

ნებელობითსა და იმპულსურ ქცევებს შორის არ არის „ჩინური კედელი“, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაკავშირებულია არა მარტო ნებელობით, არამედ ისეთ იმპულსურ ქცევასთანაც, რომლის დროს სუბიექტს შეუძლია გამოამქლავნოს თავისი ნება, იმპულსური მოქმედებისას, როცა სუ-

ბიექტის ნებელობითი სფერო პარალიზებულია, აღნიშნული პირი არ გვევლინება ნებისყოფის სუბიექტად და მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი ქმედობისათვის. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ნებისყოფის სუბიექტს. მხოლოდ ნებას შეუძლია არ დაემორჩილოს მოთხოვნის იმპულსს და მისცეს შესაძლებლობა სუბიექტს შეასრულოს მართლწესრიგის მოთხოვნა. იქ, სადაც არ არსებობს ნებელობითი ქცევის შესაძლებლობა, არ არის არც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როცა აფექტი პათოლოგიურ ფორმას იღებს და აზიანებს ნებელობით სფეროს, მაშინ სუბიექტი ვერ ხელმძღვანელობს თავის თავს და არ აგებს პასუხს თავისი მოქმედებისათვის.

მოთხოვნილება დიდ როლს თამაშობს ქცევის ფაქტორთა სისტემაში, მაგრამ ეს როლი ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქცევის მიზეზია მოთხოვნილებათა სისტემა, მოთხოვნილება არის აქტივობის მამოძრავებელი, მისი წყარო. იმისათვის, რომ გვაჩვენოთ თუ რატომ აირჩია მრავალი სხვა შესაძლებელი მოქმედებიდან სუბიექტმა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედობა, ადამიანი უნდა განვიხილოთ როგორც საზოგადოებრივი არსება. ნებისყოფის სუბიექტი ამავე დროს საზოგადოებრივი კონტროლის სუბიექტიც არის, ის, ვისაც სოციალური კონტროლისადმი დამორჩილების უნარი დაკარგული აქვს არ ემორჩილება არც სამართლებრივ კონტროლს, ე.ი. კარგავს უნარს შეასრულოს მართლწესრიგის მოთხოვნები.

საზოგადოებრივმა კონტროლმა, მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან გარკვეული ობიექტების გამორიცხვის გზით, შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ქცევის შაბლონის შერჩევაზე. მაგალითად, ცივილიზებული ადამიანისათვის გვაში არ იწვევს ადამიანის ზორცის შექმნის განწყობას, ვინაიდან ის არ არის საკმლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია.

სოციალური კონტროლი მოქმედებს იმპულსურ მოქმედებაზე როგორც სუბიექტური წინააღმდეგობა. წინააღმდეგობის აღმოცენების შემთხვევაში სუბიექტი წყვეტს იმპულსურ ქცევას, აცნობიერებს ახლად შექმნილ სიტუაციას და იღებს გადაწყვეტილებას მომდევნო ქცევის შესახებ. იმპულსური ქცევა ნებელობითში გადადის. ეს სიტუაცია არ იცვლება მაშინაც, როცა დანაშაული აფექტის მდგომარეობაშია ჩადენილი, ვინაიდან მოცემულ სიტუაციაში სუბიექტი ინარჩუნებს თვითკონტროლის უნარს, და შესაბამისად სამართლებრივი კონტროლის უნარს. დანაშაულის ჩადენით სუბიექტი ამჟღავნებს თავის სოციალურ სახეს, იმას, თუ როგორ აფასებს იგი ღირებულებათა მოცემულ სისტემას.

წიგნის მეორე თავში ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს ემოციებს და მათ ზემოქმედებას დანაშაულებრივ ქცევაზე. ემოციურ განცდათა ჩამოყალიბება მჭიდროდ არის დაკავშირებული მოთხოვნილებებთან. ეს განცდები ზემოქმედებენ სუბიექტის ქცევაზე. თუ ადამიანის ფსიქიკაში ჰარბობენ ემოციები, მაშინ ისინი ზემოქმედებენ მოტივაციურ პროცესზე — ადიდებენ ან ამცირებენ მოთხოვნილების დაკმაყოფილების ობიექტის ღირებულებას. ისინი ზემოქმედებენ აგრეთვე სოციალურ კონტროლზე, ამცირებენ ან წყვეტენ ამ კონტროლის მოქმედებას, ამცირებენ თვითკონტროლისა და სამართლებრივი კონტროლის მნიშვნელობას.

წიგნში დაწვრილებითაა განხილული რისხვის აფექტი, როგორც ემო-

ციურ განცდათა კრიტიკული წერტილი, რომელსაც, როგორც წესი, იწვევს ძლიერი კონფლიქტური სიტუაცია, სუბიექტისათვის არასასურველი კონკრეტული ქცევა იწვევს გრძნობათა ძლიერ აფეთქებას, რომელიც თავის მხრივ ქმნის დისონანსად წოდებულ ფსიქიკურ მდგომარეობას. დისონანსი შეგნებაში აისახება, როგორც შურისძიების მოთხოვნილება. ისეთი ძლიერი ემოციური განცდისას, როგორიცაა რისხვის აფექტი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის პირველ რიგში საჭიროა იმის დამტკიცება, რომ რისხვის აფექტში ჩადენილი კონკრეტული მოქმედება არ არის მოკლებული შეგნებულ კონტროლს.

თუმცა რისხვის მდგომარეობაში ჩადენილი მოქმედება ყოველთვის არ არის გაცნობიერებული და არ წარიმართება განწყობით, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას, მაგრამ ასეთი მოქმედება მთლიანად მაინც არ არის მოწყვეტილი შეგნებას. ყველა ასეთ ქცევას ახასიათებს ის, რომ ისინი შეგნებულობის შედარებით დაბალ დონეზე იმყოფებიან. ჯანსაღი ადამიანი რისხვისა თუ სხვა რაიმე აფექტისაგან არასოდეს არ კარგავს შეგნებას.

მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის გარდა ამისა საჭიროა იმის დამტკიცებაც, რომ რისხვის აფექტში სუბიექტს არა აქვს დაკარგული მოთხოვნილების იმპულსების დაოკებისა და სამართლებრივი კონტროლისადმი მათი დამორჩილების უნარი. აფექტის ექსპერიმენტულ გამოკვლევებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონფლიქტი იწვევს მით უფრო მკვეთრ აფექტურ მდგომარეობას, რაც უფრო ახლოს მიმდინარეობს იგი მოტორულ სფეროსთან. აქ, აფექტურ მდგომარეობაში დარღვეულია პირველ რიგში უმაღლესი ავტომატიზმები, სუბიექტს დაკარგული აქვს მოქმედების განზოგადებული სქემა. როცა კონფლიქტი ინტელექტუალურ სფეროში გადადის, მისი პათოგენური ზემოქმედება, როგორც წესი, სუსტდება და ადვილდება აფექტის დაძლევა. რამდენადაც რისხვის აფექტის მდგომარეობაში სუბიექტს დაკარგული არა აქვს დანაშაულებრივი ქცევის განწყობის მოტივაციურ სფეროში გადატანის უნარი, შეიძლება დავასკვნათ, რომ სუბიექტს არა აქვს დაკარგული აგრეთვე აფექტის დაძლევის უნარიც. რისხვის მდგომარეობაში ქცევის იმპულსურობა აძნელებს ქცევის შერჩევის მოტივაციის პროცესს. ამიტომ, არჩევანი მოუფიქრებელია და არა შემთხვევითი, რადგან აფექტის მდგომარეობაშიც სუბიექტი, გარკვეულ წილად, სოციალური კონტროლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფება.

ნაშრომის მესამე თავში ავტორი აანალიზებს აფექტური დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, იგი ურთიერთს ადარებს ქცევისა და დანაშაულის სუბიექტურ მხარეებს. იკვლევს მოქმედების მიზანსა და მოტივს აფექტური დანაშაულის დროს, ეძებს პასუხს კითხვაზე შესაძლებელია თუ არა აფექტში განზრახი დანაშაულის ჩადენა. იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ნებელობითი ქცევის დროს დაგროვილი ცოდნის მეშვეობით, სუბიექტს უყალიბდება აქტუალური დამოკიდებულება არა მხოლოდ მოქმედების ფაქტიური მხარის, არამედ მისი შეფასების მიმართაც. დანაშაულები იცის არა მარტო ის, თუ როგორ ქცევას ჩაიდენს და როგორი საშუალებით, არამედ ისიც, რომ მისი ქცევა საზოგადოებრივად საშიშია. ამასთან, აქტუალიზებულია არა მარტო ცოდნა, რომელიც დაკავშირებულია ობიექტებისა და მოვლენების ფაქტიურ მხარესთან, არამედ ცოდნა დაკავშირებული მათ შეფასებით მხარესთანაც. ცოდნის

ეს მინიმუმი საკმარისია იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ საზოგადოებრივი საშრომების შეგნებაზე. ამდენად, აფექტურ დანაშაულს თან ახლავს ყველა ის ელემენტი, რომელიც განზრახვისათვის არის საჭირო. აფექტური დანაშაულის დროს გამორიცხებულია ისეთი ფსიქიკური მდგომარეობა, როგორცაა პირის თვითიმედოვნება, როცა პირი ითვალისწინებს თავისი მოქმედების შედეგად საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობს მათ თავიდან აცილებას. ფსიქიკურ პროცესებს, რომლებიც თვითიმედოვნებას ახასიათებს, თან ახლავს აზროვნების პროცესი, ე.ი. ისინი დაკავშირებული არიან ნებელობით და არა იმპულსურ მოქმედებასთან.

ვინაიდან შესაძლებელია, რომ სუბიექტი აფექტის მდგომარეობაში არ ითვალისწინებდეს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, თუმცა შეეძლო და ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა იგი, ამდენად სახეზე შეიძლება იყოს გაუფრთხილებლობა დაუდევრობის სახით.

წიგნის მეოთხე თავში ლაპარაკია აფექტის გამართლების პირობებზე და დაწვრილებითაა განხილული აფექტის გამართლება (მისატევებლობა). ავტორი იხილავს აფექტური დანაშაულის შემადგენლობის ფაქტურ (ფსიქოლოგიურ) ნიშნებს, აგრეთვე ამ შემადგენლობათა შეფასებით ნიშნებს. ნაშრომის მეხუთე თავში ავტორი მიმოიხილავს აფექტური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მკვლევლობისა და სხეულის მსუბუქი დაზიანების კვალიფიკაციას. წიგნის მეექვსე თავი ეძღვნება აფექტური დანაშაულის გამიჯვნის საკითხს მსგავსი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტებისაგან.

ნაშრომის ანოტაცია ვერ იძლევა იმის ფართო შესაძლებლობას, რომ ვიმსჯელოთ წიგნის ყველა საკითხზე, მაგრამ, ვფიქრობ, წიგნის შინაარსის მოკლე მიმოხილვითაც შესაძლებელია დავახასიათოთ იგი როგორც ნაშრომი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სისხლის სამართლის თეორიაში და ხელი შეუწყო მის შემდგომ განვითარებას. სამწუხაროდ, უნგრელი მკითხველისათვის ეს წიგნი ძნელად მისაწვდომია. ნაშრომი გამოქვეყნდა მხოლოდ რუსულ ენაზე, მაშინ, როცა ეს წიგნი არის დიდი ვაზრების ნაყოფი და იგი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ უნგრელი მკითხველისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. ვინაიდან წიგნი ფრიად აქტუალურია, საჭიროა, რომ იგი უნგრულ ენაზე გამოიცეს, რა თქმა უნდა, ავტორის დახმარებით.

უდაოა, რომ იგი ნაყოფიერ ზეგავლენას მოახდენს უნგრულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაზე.

ЗА ГРАНЬЮ НАУКИ

(По поводу книги Б. Хорнабужели «Психологическая сторона вины».
Изд-во «Ганатлеба», Тбилиси, 1981, 108 с.)

С некоторым опасением мы приступаем к рецензированию названной выше книги, так как ее автор заранее предупреждает всех возможных оппонентов, что его точка зрения «направлена против взглядов множества авторов, имен которых мы (т. е. автор) не упоминаем, но которые, возможно, все-таки при пробуждении самолюбия зашумят» (с. 14). Возможным оппонентам он грозит, что «тот, кто берет на себя эту миссию, должен всегда помнить», «до того, как на другого пенять, следует на себя обернуться... Помнить: «Семь раз отмерь, один раз отрежь» (с. 76—77). Несмотря на такие «предостережения» автора, чистота советской науки требует не оставлять без внимания подобного рода опусы, дискредитирующие советскую науку, действующее законодательство и практику его применения, выступить против менторства в науке (с. 59), оглупления читателя (с. 53, 58, 65, 72 и др.), запрещенных методов ведения дискуссии.

Прежде всего хочется заметить, что автор рецензируемой книги обнаруживает незнание основных проблем науки. В работе отсутствует научная концептуальная основа. Вместо нее автор ограничивается разрозненными и бездоказательными фрагментарными высказываниями (в подавляющем большинстве случаев ошибочными) по различным проблемам науки психологии, уголовного права и криминологии. Сомнительные суждения автора, изложенные в категоричной, безапелляционной форме, представляются автором истиной в последней инстанции. Далеко отстоящие от науки, изложенные без достаточной аргументации утверждения автора исключают необходимость и возможность опровергать нонсенсы. Авторские суждения характеризуются отсталостью от современных научных представлений в психологии, уголовном праве и криминологии. Научную некомпетентность автор во многих случаях старается прикрыть ссылками на научное наследие акад. Д. Узнадзе. Советская наука высоко ценит научное наследие акад. Д. Узнадзе и широко использует его теоретические концепции. Но следует заметить, что, во-первых, достижения советской психологической науки не исчерпываются трудами акад. Д. Узнадзе, в ряду с ним стоят имена многих крупнейших советских ученых — Б. Г. Ананьева, П. К. Анохина, Н. П. Бехтерева, А. Н. Леонтьева, А. Р. Лурия, В. Н. Мясищева, В. Д. Небылицина, К. К. Платонова и др., и, во-вторых, недопустимо прикрывать авторскую безграмотность именами крупнейших ученых.

Бездоказательным является заявление автора, что советские криминалисты «или принижают роль науки психологии, или вовсе не считаются с нею»??! (с. 5). «Если попытаемся, — пишет он, — психологически охарактеризовать поведение по последствиям, то будем вынуждены признать, что существует и нецеленаправленное волевое поведение»? (с. 6). Ему до сих пор «остаётся непонятным, по каким признакам относят «кражу», «разбой», «убийство» и др. деликты к психологическому пониманию поведения»? (с. 6). Автор всерьез считает, что «например, кража, совершенная с корыстными мотивами, ведь совершенно отличается от кражи, преследующей цель оказания помощи другому человеку»? (с. 6).

Выступая против объективной категории «общественная опасность», автор утверждает, что общественная опасность является «понятием оценочного характера»? (с. 8, 104). По его мнению, «не отличается логичностью мысль и тех авторов, которые под признаком общественной опасности характеризуют все виды правонарушений»? (с. 8). Он искренне недоумевает: «Если общественная опасность является общим признаком всех правонарушений, то каким образом может быть обоснован ее объективный характер?» (с. 8). И тут же заявляет: «сама по себе, общественно опасная личность объективно не существует, раз личность по своей сути не может быть преступной» (с. 10). Ему «представляется, что общественная опасность преступления (преступника) лишена основания. Она кажется бесполезной с точки зрения науки уголовного права»? (с. 10, 101, 105—106).

«Спрашивается, — вопрошает далее автор, — если общественная опасность является объективной категорией, которая существует до определения законодателем преступления, то тогда почему же она должна быть определена опять-таки особенностями преступления»? (с. 18). «Думается, — заключает автор, — что данное понятие в литературе запутано вообще»? (с. 19). Вместо общественной опасности, «мы сочли нужным, — пишет он, — признать необходимым признаком понятия преступления общественно несовместимую, непримиримую аморальность»? (с. 20). «Мы считаем, — неожиданно заявляет автор, — неоправданным последствием «общественной опасности» признание личности рецидивистом или особо опасным рецидивистом. Повторяем, признание судом личности, к примеру, особо опасным рецидивистом, имеет смысл лишь для будущего»? (с. 20—21). Разве можно всерьез принять утверждение автора о том, что «если человек не знает, что то или иное деяние является наказуемым и все же привлекается к ответственности, этим, собственно, нормы уголовного права лишаются превентивного значения»? (с. 28).

Суждения автора по проблемам вины пестрят легковесностью, противоречивостью и ошибочностью. Он считает, что «целесообразно» «признавать синонимами термины «решение» и «умысел» (с. 26), что психологически нельзя признавать мотивы и цели антиобщественными вообще» (с. 99). «Неосторожное деяние, — заявляет он, — вообще не

является самостоятельным психологическим поведением» (с. 100). Автору кажется «совершенно неоправданным говорить и о мотивах неосторожных преступлений. Прежде всего это потому, что и «неосторожное преступление» как юридическое понятие не приравнивается к психологическому понятию поведения, которое определяется именно мотивом и целью» (с. 98), а «то, что цель (как правило) нельзя считать преступной вообще, не требует повторного разъяснения»?! (с. 70).

Вместо четкой и практически многократно проверенной формулы умысла, закрепленной в ст. 8 Основ уголовного законодательства, автор предлагает свою заумную формулу, согласно которой: «прямой умысел со своим содержанием — это начало осуществления психологического поведения (которое имеет собственные мотив и цель), категорическое предвидение наступления антиобщественного наказуемого результата, т. е. лицо для достижения намеченной цели считает необходимым, неизбежным наступление антиобщественного, наказуемого результата, независимо от того, желателен ли этот результат»?! (с. 33—34, 107).

Однако этим «открытия» автора не исчерпываются. Далее на стр. 40, 70 он утверждает, что «собственно, относительно «эвентуального умысла» нельзя говорить ни о волевом, ни об импульсивном поведении». Он «характеризуется вероятным предвидением лицом наступления общественно непримиримых несовместимых, наказуемых последствий, не считая их необходимыми и неизбежными, при применении физического способа, как деяний в момент осуществления цели волевого поведения» (с. 107). По мнению автора, «самонадеянность — это есть общественно непримиримое, несовместимое нарушение субъектом определенного правила, нормы, когда он «азартно» надеется (убежден) в безопасности этого нарушения, а фактически наступают определенные антиобщественные наказуемые последствия» (с. 107), а «небрежность всегда должна подразумевать общественно непримиримое, несовместимое нарушение субъектом какого-либо правила, нормы, когда он настолько халатен к этому нарушению, что не предвидит наступления предусмотренных законом антиобщественных наказуемых последствий, что фактически наступает» (с. 107). Как видим, все эти суждения по данному вопросу весьма непонятны. Предвидя это, автор предусмотрительно предупреждает читателя, что «данная работа написана для квалифицированного читателя» (с. 72). К сожалению, мы, видимо, не доросли до «квалификации» автора.

Совершенно недопустимо нигилистическое отношение автора к действующему советскому законодательству, к примеру, по вопросам вины, общественной опасности, опасного рецидивиста, ответственности за преступления, совершенные в состоянии опьянения и др. Иначе как неуважением к закону не назовешь его пренебрежительный тон по поводу действующей законодательной формулы умысла (ст. 8 Основ). «Удивительно то, лицемерно восклицает он, — что эта формула умышленной вины признается бесспорной и психологически приемлемой»?!

(с. 30). Не нравится автору и ст. 12 Основ, предусматривающая ответственность за преступления, совершенные в состоянии опьянения. Он против привлечения к ответственности лиц, напивающихся до беспамьства и в этом состоянии совершающих опасные преступления. «Совершенно необоснованно утверждается,—заявляет автор,—будто «основой ответственности в этом случае представляется то, что лицо путем опьянения само довело себя до состояния невменяемости». Здесь достаточно отметить, — пишет он, — что «приведение себя в невменяемое состояние» само по себе уголовно не наказуемо» (с. 30). Вот и вся аргументация. Комментарии, как говорится, излишни.

Остается лишь напомнить автору книжки партийную точку зрения о бережном, уважительном отношении к закону. «Уважение к праву, к закону, — говорил на XXIV съезде КПСС тов. Л. И. Брежнев, — должно стать личным убеждением каждого человека» (материалы XXIV съезда КПСС, М., 1972, с. 81). К сожалению, у автора такое уважение отсутствует.

Автор считает, что «психологические понятия не терпят никаких обработок и приспособлений к потребностям уголовного права, если мы только не хотим встать на позиции нормативизма»?! (с. 17). Но автор забывает (а может быть, и не знает), что юристам необходима не психологизация правовых явлений, а перевод социально-психологических и иных понятий на язык права, доступный пониманию практических работников органов уголовной юстиции, применяющих закон и осуществляющих советскую уголовную политику в области борьбы с преступностью и иными правонарушениями.

Автор проявляет пренебрежительное отношение к крупным советским ученым и их трудам. Грубый, подчас издевательский тон красной нитью проходит через все строки книги. Автору, например, «не требуется большого усилия ума для того, чтобы... заметить противоречия» (с. 90) в высказываниях В. Н. Кудрявцева о том, что при небрежности «ответственность наступает, разумеется, не за само психическое состояние личности, а за внешнее поведение, вызвавшее социально вредные последствия, которые субъект мог и должен был предвидеть и предотвратить» (В. Н. Кудрявцев. Право и поведение, М., 1978, с. 11), но «не требуется большого усилия ума» и для того, чтобы пренебрежительно упоминать имена таких ученых как Т. В. Церетели (с. 19—24 и др.), В. Г. Макашвили (с. 65—67, 69—70 и др.), Б. В. Волженкина (с. 104) и других. Подобное пренебрежение к законодательству, научным положениям и к другим ученым автор объясняет тем, что «они не соответствовали нашему направлению» (с. 70). В отличие от автора, мы не рекомендуем ему «обратиться за советами к другим специалистам» (с. 70), так как полагаем, что соответствующие специалисты сами обратят внимание и по достоинству оценят и автора и его «труд», чуждый духу советской науки и этике ученого.

Неуклюже выглядит в книге весьма странная полемика автора с оппонентом. Он заявляет: «Мы условно будем называть такого, мис-

ленно представляемого противника, упрямо-придирчивым, назойливым оппонентом и в диалогах с ним постараемся уяснить принципиальные позиции уголовно-правовой вины и связанные с нею проблемы» (с. 13). Разумеется, в книге при самом ближайшем рассмотрении не найдешь никакого «уяснения принципиальных позиций уголовно-правовой вины и связанных с нею проблем», но зато в изобилии совершенно недопустимые в научной полемике тон и выражения, переходящие нередко в прямое оскорбление не только оппонента, но и читателя.

Автору не нравится, что «условный», «мысленно-представляемый» оппонент, указанный на странице 13, обнаруживает неточность ссылки на страницу источника и делает ему за это упрек (с. 14), а также высказывает замечания по поводу некомпетентных и ошибочных суждений автора. А раз «оппонент неосмотрительно выступил против нас», (с. 23), — заявляет автор, — то он «клеветник», которого «друзья поддерживают в институте» (с. 23) и «непонятливый гид» (с. 51), и «злопыхатель» (с. 64) и «ворона» (с. 70), «и монах Центерадзе» (с. 76) и т. д. и т. п. Просим читателя обратить внимание на такие, например, образчики полемики с «мысленно-представляемым оппонентом»: «Оппонент приписывает все погрешности нам, а о себе забывает. Забывает, что «с одного вола двух шкур не дерут» (с. 22); и далее: «В споре с «упрямо придирчивым оппонентом» он часто напоминает нам одного «поборника правды», который говорил: «Я симпатизирую людям, которые не кривят душой, откровенно выражают свои мысли, которые совпадают с моими» (с. 22—23), и еще: «Мы далеки от мысли, — пишет автор, — что оппонент восстал против нас с целью услужения тому автору, с которым мы не согласны, памятуя при этом поговорку: «Тот, кто услужлив, может стать и клеветником» (с. 23) и т. д. и т. п.

Беспрецедентный в науке и печати случай, когда автор публикации полемизирует, как оказывается, не «с мысленно представляемым», а с реальным лицом, дискутируя по поводу неопубликованной рецензии оппонента на рукопись авторской работы. Автор так и заявляет «Хотя мы говорим о представляемом оппоненте, но... с таким оппонентом действительно можно встретиться в жизни. В лице такого оппонента мы имеем в виду критика с явно обвинительным уклоном, чья страстная заинтересованность, доходя до степени аффекта, не могла бы больше проявиться и у пьяницы, который во время алкогольного голода «готов высосать спирт из компресса ног»... «Что делать, — сетует автор, — обычно такому везет. «Хорошо кому живется, у того и петух несется». Видимо, некоторые и подстрекают его прыгнуть выше собственной головы. А может, его окрыляют «сверху», и «начальство» виновато в том, что он превращается чуть ли не в фортепиано Дидро?...» (с. 76). Подобными высказываниями пестрит вся книга (см. например, с. 53, 54, 56 — 57, 63, 66—67, 72—75, 102 и др.). Так пытается уяснить автор «принципиальные позиции уголовно-правовой вины и связанные с нею проблем». И подобной полемике с «условным» оппо-



нением в книге отведено 80 страниц. Мы привели лишь несколько примеров, но и они, думается, позволяют читателю судить о «научной» ценности рецензируемой книги.

Автор язвительно замечает что, «оппоненту не нравятся рассуждения в этой форме, но, думается, их содержание должно быть понятным каждому юристу» (с. 72).

Для нас также кое-что «непонятно и непостижимо». Непонятно, какую цель ставил перед собой автор, выпуская подобный низкопробный и дезориентирующий читателя пасквиль на советскую науку и законодательство? Непостижимо, как могло издательство опубликовать работу, находящуюся за пределами науки? Непонятно, куда смотрели рецензенты и редакторы названной работы? Однако, совершенно понятно и постижимо одно — автор в низменных целях использовал печатное слово авторитетного издательства, опубликовавшего его работу. Остается довольствоваться тем, что тираж книги небольшой (и он, надемся, будет изъят) и выразить сожаление издательству, напрасно израсходовавшему столь нужную для полезных целей бумагу.

П. С. ДАГЕЛЬ
профессор, заслуженный деятель науки РСФСР
Р. И. МИХЕЕВ
доцент

თენგიზ სიმონის ძე ხოშტარია



საქართველოს ეკონომიკურმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაჯლისი განიცადა, უეცრად გარდაიცვალა მაღალი კვალიფიკაციის სწავლული ეკონომისტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ წევრი 1959 წლიდან თენგიზ სიმონის ძე ხოშტარია.

თ. ხოშტარია დაიბადა 1927 წელს ქ. თბილისში, გამორჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის სიმონ გიორგის ძე ხოშტარიას ოჯახში. მოსკოვის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1952 წლიდან თ. ხოშტარია მოსკოვშივე მუშაობდა. 1956 წელს იგი საქართველოში ბრუნდება და იწყებს მუშაობას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ჯერ მეცნიერ-თანამშრომლად, 1959 წლიდან კი — ინსტიტუტის სწავლულ მდივნად.

თენგიზ ხოშტარია გუთუნოდა იმ სასახელო ადამიანებს, რომლებმაც საფუძველი ჩუყარეს ჩვენი კულტურის ნათელი ძეგლის ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის დიდმნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს. 1966 წლიდან იგი ხელმძღვანელობს ეკონომიკისა და სამართლის რედაქციას, შემდეგ ინიშნება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო 1972

წლიდან — მთავარი რედაქტორის მოადგილედ. მომდევნო წლებში თ. ხოშტარია მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის აპარატში სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა და უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1976 წლიდან, ვიდრე სიცოცხლის ბოლო დღემდე, იგი კვლავ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტშია დირექტორის მოადგილედ, ამავე დროს, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და ვარემოს დაცვის ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილების ხელმძღვანელად და ჟურნალ „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის რედაქტორის მოადგილედ.

თ. ხოშტარია აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იგი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულად, იყო საქართველოს კპ ცკ-ის პოლიტგანათლების სახლის ეკონომიკური სექციის მეთოდოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე.

თ. ხოშტარია რიგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომის ავტორია. მათ შორის, მონოგრაფიული გამოკვლევისა ამიერკავკასიის ეკონომიკური რეგიონის მრეწველობის განვითარების შესახებ, რომელიც განიხილავს ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების მრეწველობის განვითარების საკითხებს სოციალისტური მშენებლობის ძირითადი ეტაპების მიხედვით.

ყველგან, სადაც კი მუშაობდა თ. ხოშტარია დიდი პასუხისმგებლობით ეცილებოდა მინდობილ საქმეს, არ ზოგავდა მისთვის უნარსა და ძალას. იგი მუდამ უაღრესად გულისხმიერი იყო ამხანაგებისადმი, საყოველთაო პატივისცემისა და სიყვარულს იმსახურებდა. მაღალი ინტელექტუალური ფართო განათლება, მრავალმხრივი და ღრმა მეცნიერული ცოდნა პარპონიულად შერწყმული იყო მის კეთილშობილ ადამიანურ თვისებებთან, უმაღლეს ბიროვნულ ღირსებასთან, უსპეტავეს ზნეობრივ ქმედებასთან.

თ. ხოშტარიას ნათელი სახე დაუფიქრარი იქნება ყველას სიგნაში, ვინც კი მას იცნობდა.

ფასი 85 კპ.

7-7

6⁸⁰/50.

ინდექსი

